# თავისუფალი საქართველო

№4

26 ნოემბერი - 2 დეკემბერი
1994 წ.

ინდექსი 66421

ფასი 400 რუბლის
შესაბამისი კუპონი

გაზეთი
რეგისტრირებულია
იუსტიციის სამინისტროს
მიერ
სარეგისტრაციო მოწმობის
№ 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)



## გიორგობა - საქართველოში ბოროტის ძლევის დღესასწაული

"ჩვენ ღვთისშობელი გვწყალობს ხახულის და გვიცავს მარად თეთრი გიორგი", ჩვენ ბედნიერი ერი ვართ. არ ყოფილა ჩვენს ისტორიაში, თუნდაც ყველაზე უმძიმეს ჟამს, ეპიზოდი, რომ გმირი არ გვყოლოდა.

ყოველთვის, როცა ერს დაუდგებოდა მძიმე ხანა დაძაბუნების, როცა ისე ჩანდა, თითქოს ჩაკვდა მისი ენერგია, მოერია მტერი, დათრგუნა, დააბეჩავა - საიდანღაც, ლამის არქაული სიღრმეებიდან გამოჩნდებოდა ყრმა უშიშარი თვალებით, ანთებული გულით, პირველი ქრისტეანის ყოვლისმომრევი რწმენით და შეგვიძახებდა. ჩვენშიც აანთებდა თავისუფლების წყურვილს, ღირსების შეგრძნებას, ბრძოლის ჟინს, უკეთესისკენ სწრაფვის სურვილს და აღდგებოდა ერში ის ენერგია, რომელიც ქვეყანას მომავლისკენ გზას უკაფავდა, აცოცხლებდა, აძლიერებდა - საქართველო მკვდრეთით აღსდგებოდა სასწაულებრივად!

ამ სასწაულებრივი აღდგინების ისტორიაა მთელი ჩვენი გზა. ჩვენს მეხსიერებაში დაცულია ყველა წამი აღდგომისგან განცდილი აღმაფრენის და თაყვანისცემა მათი, ვინც ერს აღასრულებინა ეს ყველაზე მაღალი მისტერია - ღმერთთან ერთობის.

ჩვენ გვქონია ჟამი დაცემისა, ჟამი გლოვისა, ჟამი იმედის წარკვეთისა, მაგრამ მოვსწრებივართ დროსაც, როცა "დედამიწაზე დადის მესსია".

და სანამ ერთ ქართველს მაინც ახსოვს, რა შეუდარებელი გრძნობაა, როცა გარშემო ყველა და ყველაფერი აღფრთოვანებით იწყებს ახალ სიცოცხლეს, რა განუმეორებელი იდუმალება ახლავს თან ამ გამოღვიძებას, როგორი უცნაურია თავისუფლების სიტკბო...

სანამ არსებობს ამ დროის მონატრება, მანამ არსებობს იმედი, რომ აღდგომის მისტერია ისევ აღსრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მქადაგება დიადი რევოლუციის 77-ე წლისთავს

კომუნისტები ყოველთვის მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ერთის მხრივ, თავიანთ საგმირო საქმეთა თარიღების აღნიშვნას და, მეორეს მხრივ, სახალხო და რელიგიური დღესასწაულების შერყვნას. საქართველოს დემობოლშევიკური რევოლუციის ბელადებმა, ქართველთათვის ჩვეული არტისტიზმით, ეს ტრადიცია სატანური მისტერიის სიმაღლემდე (ან სიმდაბლემდე) აიყვანეს.

თავად დემობოლშევიკური ოკუპაცია დაიწყო 21 დეკემბერს - იოსებ სტალინის დაბადების დღეს, ხოლო პრეზიდენტი განდევნილ იქნა ქრისტეშობის ღამეს. 7 იანვარს, დილით თბილისში მოთარეშე პუტჩისტურმა ბანდებმა ვაჟა ფშაველას პროსპექტზე დაცხრილეს მშვიდობიანი მანიფესტაცია და ამ წმინდა დღესასწაულის აღსანიშნავად რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე მიიტანეს თავიანთი ბომონის სამსხვერპლოზე.

1919 წლის 6 ივლისს რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ, გერმანიის ელჩის მირბახის მკვლელობის საბაბით (მკვლელი იყო შემდგომში ცნობილი ჩეკისტი, რიგი ტერორისტული აქტების შემსრულებელი, "გპუ"-ს საგანგებო აგენტი, ბლიუმკინი), მოსკოვის დიდ თეატრში მოაწყო მემარცხენე ესერების მასიური დაპატიმრება; 1992 წლის 6 ივლისს შევარდნაძის ბანდებმა წალენჯიხაში ჩაატარეს სასტიკი სადამსჯელო ოპერაცია, რომელიც მოსახლეობის სადისტური ხოცვაჟლეტით დასრულდა.

7 ნოემბერი - ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია; 1993 წლის 7 ნოემბერი - რუსეთისა და შევარდნაძის რეჟიმის საოკუპაციო ჯარების მიერ ზუგდიდის აღების დღე.

* * *

წლევანდელი ოქტომბერ-ნოემბერი კვლავ გამოირჩეოდა პოლიტიკური აქტივობით. "საიმედო" წყაროებიდან ინფორმირებული, "კომპეტენტური" პერსონები არწმუნებდნენ დაინტერესებულ პირებს, რომ შვიდისთვის დიდ ცვლილებებს, ან დიდ პროვოკაციას უნდა ველოდოთ. ერთის მხრივ ქადაგებდნენ, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია "იქ - დასავლეთში", ამიტომ აქაც ყველა მზადაა დაგითმოს ასპარეზი - შენ მხოლოდ მიდი და აიღე. მეორეს მხრივ, სახავდნენ იგორ გიორგაძის მზაკვრული პროვოკაციის შედეგად გამეფებული ტერორის აპოკალიფსურ სურათს (საგულისხმოა, რომ ეს სცენარი მოგვიანებით დაწვრილებით მოგვითხრო "ტაიმ აუტში" ნატო ონიანმა, რომელიც შესაძლოა არ იზიარებდეს პანტელეიმონ გიორგაძის დახავსებულ შეხედულებებს სოციალისტური სამოთხის თაობაზე, მაგრამ საეჭვოა მწყრალად იყოს მისი საამაყო ვაჟის უწყებასთან).

ამ ინსინუაციის პირველი ვერსია აგულიანებდა კოლაბორაციონიზმისკენ მიდრეკილ უტოპისტებს, რომლებიც უმალ ტრფიალით განიმსჭვალენ შიმშილთან შერკინებული ჟორჟოლიანის მიმართ (თითქოს ეს საქმე მას "ჩაეწყოს" იქ - დასავლეთში). მეორე - მიზნად ისახავდა გეო-ს გენერალური მდივნის ჩამოსვლის წინ პოლიტიკურად ქმედითი ჯგუფებისთვის ხელ-ფეხის შეკვრას, რათა სოხუმის ლეგენდარულ დამცველს "ღირსეულად" დამთავრებული აფხაზური კამპანიისთვის ასეთივე ღირსეული წერტილი დაესვა. და ბუნებრივია, ამაში დიდ დახმარებას უწევდნენ ისინი, ვინც მუდმივად ცდილობს საკუთარი უუნარობით გაპირობებული უმოქმედობა ახსნას ხან პროვოკაციების საშიშროებით, ხან რაღაც გლობალური პროცესების მომწიფების საჭიროებით, ხანაც უბრალოდ ამა თუ იმ პირის არასაიმედოობით.

ფაქტი სახეზეა: არ მოხდა არც დიდი ცვლილებები, არც დიდი პროვოკაცია. მხოლოდ უფრო მეტად დაისვარნენ დასვრილები, გაბითურდნენ გაბითურებულები და კიდევ ერთხელ დადასტურდა უსუსურთა უსუსურობა.

სხვაგვარად არც არასოდეს ყოფილა და არც იქნება.

* * *

ჩვენი ნეტარი საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იმედოვნებდა (ან ცდილობდა ამ ილუზიის სხვებისთვის შექმნას), რომ თეიმურაზ ჟორჟოლიანის ზარზეიმით დაწყებული და სამარცხვინოდ ჩაფუშული შიმშილობით მიღწეული საპარლამენტო დებატები, ყოფნა-არყოფნის ჰამლეტისეული კითხვის წინაშე დააყენებდა შევარდნაძეს. იმედები კვლავ არ გაუმართლდათ: "მამაშვილური" საუბრის შედეგად ჟორჟოლიანმა თითქოს მიიღო თავისი პირადი პრობლემების სასიკეთოდ გადაწყვეტის გარანტიები, მაგრამ დებატებმა ეს ილუზიაც გაფანტა - საფიქრალია, ამხანაგ მონარქისტს დაიჭირენ, თანაც არც თუ უსაფუძვლოდ, თანაც საპარლამენტო თუ გარე ოპოზიციის სრული დუმილის ფონზე.

შევარდნაძემ თითქოს მოიპოვა მორიგი გამარჯვება, მაგრამ ვინაიდან ეს ორთაბრძოლაც, წინა ბატალიების მსგავსად, საკუთარ ჯარისკაცებთან ომობანას თამაში გახლდათ, ამდენად მთავარსარდლის ტრიუმფსაც კლაკერების ხარჯზე მიღწეული იაფფასიანი წარმატების იერი დაჰკრავს.

მეორეს მხრივ, დებატებმა კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ ე.წ. პარლამენტში შევარდნაძის ოპოზიცია საერთოდ არ არსებობს. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ საკუთარი ტყავის გადარჩენის მსურველებზე, ან მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის მიმართ კრიტიკულად განწყობილ და ამ მოტივით აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პრეტენზიის მქონე სხვადასხვა დაჯგუფებებზე. ცხადია, ყოველი მათგანი მისთვის მომგებიან გაფორმებას აძლევს თავის პოზიციას:

- ჟორჟოლიანი უმიზნებს პირდაპირ შევარდნაძეს, ვინაიდან განსაკუთრებული ურთიერთობები პროკურატურასთან, მის მიმართ პარლამენტის ოპოზიციონერთა და თვით საკუთარი პარტიის წევრთა სრული გულგრილობა იძულებულს ხდის მოკავშირენი ეძიოს ყველაზე რადიკალური პოზიციის მქონე საზოგადოებაში;
- რესპუბლიკელები კონსტრუქციულად, დინჯად, ხაინდრავა-ბერძენიშვილისეული უდრტვინველობით აყალიბებენ პოლიტიკური სტრატეგიის შეცვლის აუცილებლობას, სახავენ კავკასიური პოლიტიკის ორიენტირებს (პოლიტიკისა, რომელიც ასეთივე უდრტვინველობით დაამხეს ამ სამი წლის წინ კანონიერ პრეზიდენტთან ერთად) და იქვე სთავაზობენ თავიანთ თავს ახალი რეორგანიზებული, რეფორმატორული მთავრობის სახით. თუმცა თავადაც კარგად უწყიან, რომ შევარდნაძისა და მის უკან მდგარი სისტემის პირობებში ნებისმიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას გარდუვალად მოელის დვალიშვილი-გოცირიძის სინდრომით დაავადება, ყველა აქედან გამომდინარე სავალალო შედეგებით.
- ტრადიციონალისტებს, "რეფორმატორული ლობის" განმასახიერებელი ბასილიას მეოხებით, ჩანს, უკვე შეეყარათ ხსენებული სენი, რამაც ყველასათვის მოულოდნელად მოკავშირედ აქცია ძველი მტრები - აკაკი ასათიანი და ედპ-ს ხარიზმატული ბელადი. ეს უკანასკნელი დიდი ხანია იდეოლოგიის დონეზე ამუშავებს მინისტრთა კაბინეტში ჩანერგვის ტაქტიკას, თუმცა, ალბათ, იმასაც ხვდება, რომ მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით მის გეგმას განხორციელება არ უწერია.
- ადამია-წერეთელი აშკარად დააფრთხო ონიანისეული სცენარის ყალიბში მოქცევამ და საერთოდ არ გამოვიდნენ ბრძოლის ველზე, თუმცა ამათგან პირველი რა ხანია ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს (ალბათ, არ სურს ერთხელ დაკაგული და იარაღით მოპოვებული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობასთან გამოთხოვება) და გლადიატორის ფუნქციას თავისი საზოგადოების სხვა წევრებს აკისრებს.

ამ დებატების ყველაზე თვალსაჩინო თავისებურება კი ის იყო, რომ დაპირისპირებულ მხარეთაგან არც ერთი არ ტყუოდა - ორივე ამხელდა ერთმანეთს რეალურად ჩადენილ დანაშაულებებში. ამდენად, ნორმალური ქვეყნის კრიტერიუმიდან ყველას მოერგება კოდექსის თითო მუხლი მაინც. მაგრამ მათ მიერვე შექმნილი რეალობა განსასჯელის სკამს მხოლოდ ერთ მხარეს უქადის, ანდა არც ერთს - მორიგდებიან.

ანა ჭავჭავაძე

# ვაკე ირჩევს "მხედრიონს"

13 ნოემბერს დედაქალაქის ვაკის რაიონში ჩატარდა ე.წ. პარლამენტის დამატებითი არჩევნები, რომელსაც გამოკლებული დეპუტატის შემცვლელი უნდა გამოევლინა. ტელევიზიით გაჩაღებული სარეკლამო კამპანია უკვე ცხადყოფდა, რომ ბრძოლა ორ ძირითად კლანსა და, შესაბამისად, ორ ძირითად კანდიდატს შორის გაიმართებოდა: მოქალაქეთა კავშირს წარმოადგენდა "რეალური კაცი - რეალური პროგრამით" ზურაბ ცქიტიშვილი, ხოლო ჯაბა იოსელიანის თაოსნობით ახლადშექმნილმა ბლოკმა "არჩევნები" თავის კანდიდატად წარმოადგინა - ნაღდი ვაკელი ვახტანგ ბეგიშვილი, რომელმაც დაამარცხა კიდეც პარტნომენკლატურისა და საწარმოო ლობის პროტეჟე.

ცხადია, მოსახლეობას არც ერთის მარცხი ან გამარჯვება არავითარ რეალურ სასიკეთო ცვლილებას არ უქადის, მაგრამ სავარაუდოა, რომ არჩევნების შედეგებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ "ველური ბიზნესის" კულუარებში. საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც დღესაც სჯერა, თითქოს ჯაბა იოსელიანთან მეგობრობა შევარდნაძისათვის იძულებითი და არასასურველი მოვალეობაა, ჩათვალა, რომ ბეგიშვილის გამარჯვება შევარდნაძის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

რეალურად კი საქმე უფრო მარტივადაა: შევარდნაძის გარშემო შემოკრებილი დაჯგუფებები, თავიანთი ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, იბრძვიან გავლენის სფეროებისათვის - ქუჩაშიც, ტრასებზეც, მსხვილ სამეურნეო რგოლებშიც და სახელმწიფო სტრუქტურებშიც. თუ ბოლო წლის ქუჩის ბრძოლების შედეგებს გავითვალისწინებთ, "მხედრიონმა" მართლაც მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები. მაგრამ ნუთუ ამ სამმა წელმაც არ დაგვარწმუნა, რომ შევარდნაძისა და მის უკან მდგარი იმპერიული სტუქტურებისთვის აბსოლუტურად სულერთია, რომელი ბანდა მიაღწევს გამარჯვებას საქართველოს, როგორც საძარცვი სივრცის განაწილებაში. ილუზიებით შეპყრობილნი კვლავ შეგვედავებიან: განა დასავლური ბანდა არ სჯობიაო რუსულს. ვუპასუხებთ: საქართველოსთვის არც ერთი არ სჯობია, მით უფრო, რომ დღეს რუსული ბანდა საკუთრივ დასავლურზე უფრო დასავლურია.

ნათელია, რომ ამ რეჟიმის პირობებში საპარლამენტო ადგილების ბედს გადაწყვეტს არა ხალხის ნება, არამედ ფული და იარაღი. ამდენად, უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული დამატებითი არჩევნები ჩვენთვის სხვა კუთხითაა საინტერესო. ამომრჩეველთა პასიურობამ (საშუალოდ 15-დან 35 პროცენტამდე) - ქუთაისშიც, რუსთავშიც, სამეგრელოშიც და თბილისშიც (თანაც ვაკის პუტჩისტურ უბანში), - გამოავლინა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ფაქტობრივად, ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს. მიამიტობა იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ეს მხოლოდ პოლიტიკური მოტივითაა გაპირობებული: მეტწილად მართლაც ასეა - ხალხი არ ცნობს დღევანდელ რეჟიმს, და თუკი 11 ოქტომბერს, დაშინებისა და მოტყუების გზით, შევარდნაძემ მაინც მოახერხა ამომრჩეველთა აქტიურობის ინსცენირება, დღეს უკვე იკვეთება მისი რეჟიმის ლეგიტიმურობის რეალური ხარისხი. მოსახლეობის ამ ნაწილს დღითი დღე ემატება იმედგაცრუებულთა ნაკადები. ასე რომ, ახალი პარლამენტის მომავალი არჩევნებისათვის, საკუთარი რეჟიმისა და საქართველოს საზიანო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად, შევარდნაძესა და რუსეთს დასჭირდებათ ან პროვოკაციის გზით ტერორის წამოწყება, ან ფარსის გათამაშება. ვინ იტვირთავს შემსრულებლის როლს პირველ ვარიანტში ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ ვინ იქნება კომედიანტი მეორე შემთხვევაში - ეს კი საკითხავია.

რომანოზ საგინაშვილი

# თბილისის ზღვა - პუტჩების ლაბორატორია

კიტოვანი კვლავ თბილისის ზღვაზეა! - დაბეჯითებით დაადასტურეს ქალაქში მოარული ჭორები სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურებმა უმალ 8 ნოემბრის საპარლამენტო დებატების დასრულებისას. ორიოდე დღის შემდეგ, ..... სახელმწიფო უშიშროების სამსახური, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები თბილისის ზღვაზე ატარებენ ერთობლივ, ფართომასშტაბიან ოპერაციას, რომლის შედეგადაც ხდება იქ განლაგებული სამხედრო ფორმირების განიარაღება. ამ ოპერაციაში უშიშროების სამსახურის მონაწილეობა იმითაა საგულისხმო, რომ - "ტაიმ აუტის" ოფიციოზური ვერსიით - თავად ამ უწყების ხელმძღვანელი იგორ გიორგაძე უნდა მოვლინებოდა ქართველ საზოგადოებას რუსეთის დაკვეთით მომზადებული პუტჩის ლიდერად. მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა და ამჯობინა უვნებელყოფა კიტოვანისა, რომელიც ამ მოვლენებამდე "მოსკოვსკიე ნოვოსტი"-ში ამაყად აცხადებს - მე რუსეთის კაცი ვარო. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რუსებმა ერთმანეთთან ანგარიშსწორების პოლიგონად საქართველო აირჩიეს.

პარადოქსულია ისიც, რომ კიტოვანი ამ დროს, თავშესაფრის ძიების ნაცვლად, მშვიდად უმზერს მოვლენებს და ამბობს, რომ წარმოდგენა არა აქვს, ვინ მოიყარა თავი თბილისის ზღვაზე. "მე არავითარი კავშირი არა მაქვს ამ ნაძირალებთან," - ასეთია მისი კომენტარი.

მაშ რა ხდება - კიდევ ერთი ინსცენირება, თუ ქართველი ჩე გევარა იხტიბარს არ იტეხს?! ვის ეკუთვნის ტელევიზიით ნაჩვენები მდიდარი სამხედრო არსენალი? ვინ განამწესა საკუთარი თავი ავადსამახსოვრო ისტორიულ მიდამოებში, თანაც, ამ საკითხის გარშემო მითქმა-მოთქმის, რიგი განცხადებებისა და ოფიციოზის მუქარის მიუხედავად, სრულ მზადყოფნაში დახვდა მოსალოდნელ სტუმრებს.

უკანასკნელი ცნობებით, თბილისის ზღვაზე დაბანაკებული იყო პუტჩისტურ ელიტაში კარგად ცნობილი გია ასათიანის (მეტსახელად "აზოტა") დაჯგუფება. ეს მით უფრო უცნაურია, რომ ხსენებულ პიროვნებას აქამდე იცნობდნენ არა გვარდიის, არამედ უფრო დამოუკიდებელ ფორმირებათა წევრად. ცხადია, ეს არ გამორიცხავს შემდგომში მისი კიტოვანთან დაახლოების შესაძლებლობას.

კიტოვანი გახდება მორიგი განტევების ვაცი, თუ საზოგადოება მორიგი ფარსის მოწმე - ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ არსებობს აზრი, რომ შევარდნაძე ცდილობს დასავლეთის წინაშე აღიდგინოს რუსეთისათვის არასასურველი პერსონის იმიჯი, რაზეც არც თავად რუსეთის შესაბამისი სამსახურები იტყვიან უარს. ამ შემთხვევაში ნათელი ხდება მის წინააღმდეგ გიორგაძისა და კიტოვანის "გალაშქრების" მოტივები.

მამუკა ტუსიშვილი




გამომცემლობამ "ნერგი" დასასტამბად მოამზადა წიგნების სერია - "პატარა მკითხველის ბიბლიოთეკა".

წიგნები იმის გათვალისწინებით არის შედგენილი, რომ ბავშვებს, რომელთაც ახალი შეთვისებული აქვთ ანბანი, გაუადვილდეთ კითხვის სწავლა, შეუყვარდეთ წიგნი და სიყრმიდანვე ეზიარონ კაცობრიულ ღირებულებებს.

ბიბლიოთეკა ოთხ სერიად არის დაყოფილი - "გმირები", "მეფეები", "რაინდები", "ლეგენდები". მოგვიანებით დაემატება კიდევ ერთი სერია - "წმინდანები".

შესაბამისად, თითოეული სერია მოიცავს იმ უფართოეს ლიტერატურას, რაც კაცობრიობას შეუქმნია სკანდინავიიდან ვიდრე ინდოეთამდე - საგმირო ეპოსს, სარაინდო რომანს, ისტორიულ ქრონიკას, მითს, საგას, ლეგენდას.

ძველი და შუასაუკუნეების ეს ბრწყინვალე ლიტერატურა გმირობის, თავდადების, რაინდობის, სათნოების შესახებ, მიეახლება პატარა ქართველ მკითხველს გასაგები და მარტივი ენით.

ერთდროულად გამოვა ოთხივე სერიის პირველი წიგნები:

"ალექსანდრე მაკედონელი" - პლუტარქეს მიხედვით
სერია "მეფეები."
"საბრალო ჰენრიჰი" - ჰარტმან ფონ აუეს მიხედვით
სერია "რაინდები"
"სიმღერა როლანდზე" - ფრანგული ეპიური პოემის მიხედვით
სერია-"გმირები"
"სიყვარულის პირველი ზღაპარი"- მაჰაბჰარატას მიხედვით
სერია "ლეგენდები".

წიგნების ტირაჟი და ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება.

# შეიქმნა ახალი პარტია

1994 წლის 25 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში შედგა ორგანიზაცია "თავისუფალი საქართველო - მომავალი თაობის" დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, გორის, ჭიათურის, თერჯოლის, ხობის, ზუგდიდის, ჯვარის რეგიონალური ფილიალების დელეგატებმა.

ყრილობამ დაამტკიცა ორგანიზაციის წესდება. არჩეული იქნა რესპუბლიკური გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: კ. ბუკია, დ. გოგიძე, ი. ოდიშარია, დ. ისაკაძე. ორგანიზაცია "თავისუფალი საქართველო - მომავალი თაობის" თავმჯდომარედ არჩეული იქნა კ. ბუკია. ყრილობამ მიიღო მიმართვები: მსოფლიო მთავრობებისადმი, საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოსადმი, კათალიკოს-პატრიარქისადმი, ქართველი ერისადმი.

გამომსვლელებმა ისაუბრეს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ქართველი ახალგაზრდობის პრობლემურ საკითხებზე. დელეგატთა გამოსვლებში გამოიკვეთა აზრი, რომ საქართველოს იხსნის მხოლოდ და მხოლოდ 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული კანონიერი ეროვნული ხელისუფლების აღდგენა და ერის გამთლიანება.

ორგანიზაცია "თავისუფალი საქართველო - მომავალი თაობის"
პრეს-ცენტრი

# სასამართლო კვლავ "ყვარლის საქმეს" უბრუნდება

**"ყვარლის საქმის" განაჩენში ამჟამინდელი სასამართლო პროცესის მონაწილე განსასჯელები უკვე დამნაშავეებად არიან აღიარებული. ამდენად, მათ უკვე მეორედ ასამართლებენ.**

სასამართლო პროცესი "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" მიხედვით გრძელდება. სხდომათა დარბაზში კვლავ ვერ იხილავთ განსასჯელთა უმრავლესობას, ხანდახან არ მოდიან ადვოკატებიც (ადვ. კაპანაძე უკვე ერთი თვეა, როგორც წესი, 14.00 საათის შემდეგ სტოვებს ხოლმე სხდომას).

ამჟამად მიმდინარეობს დაზარალებულებისა და მოწმეების დაკითხვა. ადვოკატებმა ვერ მიაღწიეს იმას, რომ ამ ხელოვნურად გაერთიანებული საქმის მოწმეები და დაზარალებულები რაღაც გარკვეული რიგისა და პრინციპის მიხედვით მაინც დაკითხონ. ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების ფაქტთან დაკავშირებით დაკითხულმა დაზარალებულებმა აღნიშნეს, რომ აფეთქებლების ვინაობა შეიტყვეს 1992 წლის 8 სექტემბრის სატელევიზიო გადაცემიდან "საღამო მშვიდობისა".

მათი გადმოცემით, ამ სატელევიზიო გადაცემის შემდეგ გაუბედურებული ხალხი ამავე ქუჩაზე მცხოვრები პეტრე გელბახიანის ოჯახის ბინიდან გამოსახლებასაც კი აპირებდა. ერთ-ერთმა დაზარალებულმა მანდილოსანმა შეატყობინა სასამართლოს, რომ აფეთქების შემდეგ მას გარკვეული დროის განმავლობაში, სისტემატურად ურეკავდნენ და დოკვაძის ბინას კითხულობდნენ.

***

პარალელურად მიმდინარეობს ე.წ. "ყვარლის საქმეზე" მსჯავრდებულთა დაკითხვა, ამჯერად უკვე მოწმეების სახით, და აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზეც უკანასკნელი წლების ქართულ სამართალწარმოებაში უპრეცედენტო შემთხვევის მოწმენი აღმოვჩნდით. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ე.წ. "ყვარლის საქმე" წარმოადგენს "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" შემადგენელ ნაწილს, რომელიც თავის დროზე პროკურატურამ გამოჰყო ძირითადი საქმიდან: საფიქრალია, რომ ეს გაკეთდა "ყვარლის ბანდის" სასწრაფო და შედარებით იოლი გასამართლების მიზნით, რათა ამ საქმის განაჩენით შესაძლებელი გამხდარიყო ჩიქოვანის ქუჩაზე აფეთქებასთან დაკავშირებული მომავალი პროცესის გამაგრება. ამიტომაც "ყვარლის საქმის" განაჩენში პირდაპირაა მითითებული, რომ "ყვარლის ბანდის" წევრთა დანაშაული დამტკიცებულია და სასამართლოს მიერ (მოსამართლე ი. ტყეშელაშვილი, პროკურორი ა. ჯანიაშვილი) ამ ბანდის მეთაურებად დასახელებული არიან "გამსახურდიას საქმის" განსასჯელები - ირაკლი დოკვაძე, ვიქტორ დომუხოვსკი, პეტრე გელბახიანი. მეტიც, ამ განაჩენის მიხედვით, ბანდა ჩამოყალიბდა ზვიად გამსახურდიას მითითებითა და ზემოაღნიშნული სამი - ჯერ კიდევ გაუსამართლებელი - პიროვნების ინიციატივით.

ე.ი. რა გამოდის - განსასჯელები: დოკვაძე, დომუხოვსკი, გელბახიანი და, ცხადია, სხვანიც "ყვარლის პროცესის" განაჩენით უკვე დამნაშავეებად არიან აღიარებული?!

სხვათა შორის, "ყვარლის საქმის" განაჩენში დადგენილადაა მიჩნეული, აგრეთვე, ჩიქოვანის ქუჩაზე აფეთქების "მონაწილეთა" ქმედებები, პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ ტერორისტული ბანდების ჩამოყალიბება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დივერსიების მოწყობა, იარაღისა და საბრძოლო მასალების შეძენა და ა.შ. განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული, მაშასადამე ამჟამინდელი პროცესის მონაწილენი წინასწარ უკვე აღიარებული არიან დამნაშავეებად და ხდება მათი ხელმეორედ გასამართლება.

კანონის თანახმად, არავინ შეიძლება იქნეს გამოცხადებული დამნაშავედ სასამართლოს განაჩენამდე - ე.ი. ამჟამად მიმდინარე "გამსახურდიას საქმის" მონაწილე განსასჯელების ბრალეულობის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული სასამართლო კოლეგიის პრეროგატივაა. თუ ათვლის წერტილად ამ დებულებას მივიჩნევთ, მაშასადამე "ყვარლის საქმის" განაჩენი არაა სწორი!

ამ საკითხზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, ერთი რამ კი აშკარაა: "ყვარლის ბიჭების" დამნაშავედ ცნობით განმტკიცებულია "გამსახურდიას საქმის" მომავალი გამამტყუნებელი განაჩენი. საბრალდებო სკამზე მჯდომი 19 განსასჯელის გამართლებისათვის უზენაეს სასამართლოს ჯერ "ყვარლის საქმის" განაჩენის გაუქმება მოუწევს.

***

დავუბრუნდეთ თავად სასამართლო პროცესს, რომელზედაც ამ ეტაპზე მოწმეებად გამოდიან "ყვარლის ბიჭები".

ლერი დონაძემ უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე: " - ვისი ან რისი მოწმე ვარ?! მაჩვენეთ კაცი, რომლის მოწმედაც ვარ მოყვანილი. მე ვერ ვხედავ განსასჯელებს. მაჩვენეთ, რომელია დომუხოვსკი, დოკვაძე, გელბახიანი და სხვები. ვიზე მოგცეთ ჩვენება?!" (შეგახსენებთ, რომ სასამართლო დარბაზში ცხრამეტი განსასჯელიდან - ზურაბ ბარძიმაშვილის ჩათვლით, რომლის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო - წარმოდგენილია მხოლოდ შვიდი.

მოწმე გელა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული სასამართლო, ისევე როგორც "ყვარლის საქმის" სასამართლო კოლეგია, რუსეთის მარიონეტული რეჟიმის პოლიტიკის გამტარებელია და არ ცნობს მას, ისევე როგორც მთლიანად ხუნტასა და მის რეჟიმს. "მოვა დრო და თქვენც მოგიყვანენ სასამართლოზე, ოღონდ ასე კი არა - მუხლებზე დაჩოქილებს!" - თქვა მან. გაცხარებულმა მოსამართლე დოლიძემ სასწრაფოდ გააყვანინა მსჯავრდებული გელა გაჩეჩილაძე დარბაზიდან და შემდეგ იქვე მყოფ მის მამას შეუტია: გეტყობა, რა შვილსაც გაზრდიდიო.

მოწმე ბიძინა გორელიშვილმაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე: "მე თქვენს სასამართლოს არ ვცნობ. ჩემი ნებით აქ არავის მოუყვანივარო".

ამაღელვებელი იყო აწ უკვე მსჯავრდებული, მოწმე ლევან დარახველიძის ჩვენება. მან მოუთხრო სასამართლოს ყველა იმ ენით აუწერელ სადისტურ მეთოდებზე, რომელთა მეშვეობითაც მას გამოსძალეს "აღიარებები" და "ჩვენებები" გამოძიების დროს. " - მაიძულებდნენ, რომ მეღიარებინა ჯაბა იოსელიანის აფეთქებაც, თვეების მანძილზე გრძელდებოდა ჩემი ცემა, წამება, შეურაცხყოფა. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო და მუცელი მთელ სიგანეზე დავისერე სამართებლით. მხოლოდ ამის შემდეგ დამანებეს თავი" - განაცხადა მან (ამასთან, ლ. დარახველიძეს ცემის შედეგად ჩატეხილი აქვს ცხვირის ძგიდე).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ პროცესისათვის დამახასიათებელი ერთი დეტალი - სხდომის დროს, განსასჯელი ლ. ლაშქარაშვილი, რომლის საქმესაც არავითარი შეხება არა აქვს არც ყვარლის, არც ჩიქოვანის ქუჩის ეპიზოდთან, მოუსვენრად ცქმუტავდა სკამზე. მოსამართლე დოლიძემ თანაგრძნობით მიმართა მას: "მესმის, რომ დაიღალეთ, თქვენთვის ეს არაა საინტერესო, მაგრამ თქვენი რიგიც მოვაო".

14 ნოემბრის სხდომაზე მოწმედ დაიკითხა ყვარლის რ-ნის პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომლის მორიგეობის დროსაც განყოფილებაში მიიყვანეს, შემდგომ წამებისა და ცემისგან გარდაცვლილი, ვახტანგ გოქსაძე. მოწმის დაკითხვისას ადვ. გ. მოსესიანმა სცადა რამდენიმე კითხვის დასმა და შუამდგომლობის დაყენება, რათა აღნიშნული ფაქტი უფრო ზუსტად გამოიკვეთოს (არ იყო გამორიცხული, რომ ვ. გოქსაძის ბედი სხვასაც გაეზიარებინოს). ადვოკატის განცხადებას მოსამართლე დოლიძის მკაფრი რეაქცია მოჰყვა: "ნუ ტეხთ აქ აჟიოტაჟს. რა უნდა გამოვარკვიოთ? - გოქსაძე მოკვდა და ბრალი არავის ედება". (?!)

***

დაბოლოს, პროცესის მიმოხილვა გვინდა ერთი ინფორმაციით დავასრულოთ: პროცესში მონაწილე ადვოკატმა იუზა ჯლამაძემ, რომელიც გაძევებულ იქნა ადვოკატთა კოლეგიიდან, სარჩელი შეიტანა მისი კოლეგიაში სასამართლო წესით აღდგენის შესახებ. ასე რომ, წინ კიდევ ერთი საინტერესო პროცესი მოგველის.

ნინო ჩეჩელაშვილი

# პოლიტპატიმარი ლერი დონაძე

დაიბადა ქ. თბილისში 1941 წელს. დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პროფესიით სამთო გეოლოგი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა გეოლოგიის სამმართველოს სისტემაში, სამშენებლო ობიექტებზე, იყო უბნის უფროსი, ბოლოს მსახურობდა მრეწველობის სამინისტროში.

დაპატიმრებულია 1992 წლის 11 სექტემბერს თბილისში. ბრალად ედებოდა ე.წ. "ყვარლის ტყის ჯგუფში მონაწილეობა" ხელისუფლების დამხობის მიზნით. წაყენებული ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე, 67-ე, 78-ე და 79-ე მუხლები - ბანდიტიზმი, ტერორიზმი, შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფის ჩამოყალიბება, დივერსიების მოწყობა.

1993 წლის 10 ნოემბერს "ყვარლის საქმის" სასამართლო პროცესი დასრულდა და ლერი დონაძეს მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, რის საფუძველზეც სხვა განსჯილებთან ერთად განამწესეს ქსნის კოლონიაში.

1994 წლის იანვარში, მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ გააკეთა თავისი ცნობილი განცხადება, რომელშიც ამ საქმის თაობაზე გამოტანილი განაჩენი ძალზედ ლმობიერად მიიჩნია, ქსნის კოლონიაში მოწყობილ იქნა პროვოკაცია - პატიმართა გაქცევის ინსცენირება. ამის საფუძველზე, "ყვარლის საქმეზე" განსჯილი პატიმრები, რომელთაგან არც ერთს არ ჰქონია გაქცევის მცდელობა, ქსნის კოლონიაში ხელახლა იქნენ გასამართლებულნი მცხეთის რაიონის სასამართლოს მიერ და სამი წლით მიესაჯათ ციხის დახურული რეჟიმი. ამჟამად ლერი დონაძე ორგზის ფალსიფიცირებულ საქმეთა საფუძველზე სასჯელს იხდის ორთაჭალის 137/11 დახურულ ციხეში.

# როგორ იქმნებოდა ჩემი "აღიარება"

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრს,**
**ბ-ნ ი. ტყეშელაშვილს**

**პატიმრობაში მყოფი განსასჯელი პოლიტპატიმრის**
**დონაძე ლერი გიორგის ძის**

**განცხადება - შუამდგომლობა**

მოგახსენებთ, რომ 1992 წლის 11 სექტემბრიდან ვიმყოფები პატიმრობაში. ამიყვანეს ქუჩიდან და ისე მიმიყვანეს ქ. თბილისის წინასწარი პატიმრობის საკანში, რომ არც კი ვიცოდი თუ რისთვის დამაკავეს. წინასწარი პატიმრობის საკანში სასტიკი ცემა-ტყეპისა და მუქარის შემდეგ, მიმიყვანეს დავით ზეიკიძესთან. მასთან ერთად იმყოფებოდა ბორის ივანოვიც, რამდენიმე თანამშრომელთან ერთად. ზეიკიძემ და ივანოვმა, როდესაც ჩემი ლანძღვა-გინებით გული იჯერეს, გასცეს განკარგულება, რომ წავეყვანე ჩემს ბინაში, იქვე მოეყვანათ მთელი ჩემი ოჯახის წევრები, არასრულწლოვანებიც და სრულწლოვანებიც, სახლში შეეყარათ "ლიმონკები", ტყვია-წამალი, იარაღი. მე მივხვდი, რომ ეს არ იყო ლიტონი სიტყვები, ვინაიდან რა ტანჯვა-წამებაც მანამდე გადავიტანე, მაძლევს იმის სრულ გარანტიას, რომ ივანოვის ეს განკარგულებაც შესრულებული იქნებოდა.

ამის შემდეგ, წინასწარი სცენარით შედგენილი ყალბი ვერსიებით წამიყენეს ბრალდება, თან მაფრთხილებდნენ, თუ უარს იტყვი ამგვარი ჩვენების მიცემაზე, ჩვენ შეგვწევს უნარი ისევ გაგატაროთ იმ "პრესებში", რომლებიც უკვე გაიარეო (ეს "პრესი" კი წარმოადგენს უდანაშაულო ხალხის ცემას რეზინისა თუ ხის ხელკეტებით, ცეცხლსასროლი იარაღის ტარით). მირტყამდნენ ძირითადად მუცლისა და გულ-მკერდის არეში, ფეხის გულებზე, მაშინებდნენ ბოთლზე დასმით და მთავაზობდნენ მილიციის სამმართველოს შენობის მე-5 ან მე-7 სართულის ფანჯრიდან გადმოხტომას.

ძიება მიჰყავდა ძირითადად გამომძიებელ ჯინჯოლავას, მაგრამ გამოძიების ოთახის ღია კარში იდგა ჯგუფის უფროსი ანზორ ბალუაშვილი, რომელიც თავის მხრივ დახმარებას სთავაზობდა ჯინჯოლავას: "თუ საჭიროა, გავატაროთ "პრესშიო". აი, ამ ვითარებაში ხდებოდა ჩემი "აღიარების" ჩამორთმევა.

ამის შემდეგ, მივხვდი რა ძიების ტენდენციურობას და ჩემს უსუსურობას აღნიშნულ სიტუაციაში, ყოველგვარი ინტერესის გარეშე ვაწერდი ხელს მათ მიერ შეთითხნილ ყალბ ჩვენებებს იმის იმედით, რომ როგორმე შემენარჩუნებინა სიცოცხლე (ვინაიდან ვიცოდი,რომ ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, პედაგოგი ვახტანგ გოქსაძე წინასწარი გამოძიების საკანში ცემის დროს გარდაიცვალა), როგორმე თავი მომეტანა სასამართლომდე, სადაც საჯაროდ განვაცხადებდი სრულ სიმართლეს.

მოვითხოვ, ეს განცხადება ეცნობოს ყველას, ვინც ოდნავ მაინც არის დაინტერესებული ადამიანის ბედითა და სამართლიანობის დაცვით.

ლერი დონაძე
13.05.93 წ.

# სად იყო და სად არა, გამოჩნდა დემირელი...

15 ნოემბერს თბილისში ვიზიტით იმყოფებოდა თურქეთის პრემიერი დემირელი. რადიოსადგური "თავისუფლება" ამასთან დაკავშირებით იტყობინება, რომ ბ-ნ დემირელის ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოლაპარაკება საქართველოს ხელმძღვანელობასთან აზერბაიჯანიდან თურქეთში, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით, ნავთობსადენის გაყვანის თაობაზე. თანაც ამ საქმის ზოგიერთი დეტალიც გვამცნეს: რომ რუსეთის დიდი უკმაყოფილების მიუხედავად, თურქებმა უარი განაცხადეს ნავთობსადენის მაგისტრალის რუსულ ვარიანტზე და დაბეჯითებით მოითხოვენ მის გაყვანას საქართველოს გავლით. თურქების პოზიცია მოტივირებულია იმით, რომ უკანასკნელი ვარიანტი უფრო ეკონომიურია და ეკოლოგიურად უსაფრთხო. ამასთან, ქართული მხარის თანხმობის შემთხვევაში, თურქეთი გამოუყოფს საქართველოს 50 მილიონიან კრედიტს, ხოლო თუ საქმე სწრაფად და წარმატებით წავა - გაუორმაგებს სესხს და, ყველაფერთან ერთად, თურქები საქართველოს მოაწვდიან ენერგეტიკული კრიზისის უკუნეთიდან გამოყვანისათვის საკმარისი ოდენობის ელექტროენერგიას. გაკვრით მოხსენიებულ იქნა ამ ნავთობსადენის საქართველოზე გაყვანის პოლიტიკური ასპექტიც, თუმცა, საკითხის ეს მხარე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე თავად გრძელი მილი, რომელში გამავალი ნავთობი არც ჩვენგან მოედინება და არც ჩვენთვის.

უპირველეს ყოვლისა რა არის საყურადღებო?

ჯერ ერთი, დასავლეთის მზარდი დაინტერესება მთლიანად კავკასიის რეგიონით და, როგორც ამის შედეგი, კავკასიაში რუსეთისა და დასავლეთის ინტერესების შეჯახება ცნობილი პოსტულატის თანახმად - ერთ ბუნაგში ორი დათვი ვერ მოთავსდება.რაც შეეხება თვით ამ რეგიონის სახელმწიფოებს, როგორც ჩანს, ჩვენი აზრი დიდად არც აინტერესებთ. ყოველი მხარე ერთმანეთის ზურგს უკან ცდილობს თავისკენ გადმოიბიროს "აბორიგენები", შემდეგ კი, როგორც მიღებულია, დაეყრდნოს "ხალხის ნებას". ამის დასტურია ისიც, რომ დასავლეთი მდუმარე თანხმობას უცხადებს ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტის, ჯოჰარ დუდაევის პოლიტიკას, - ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხში რუსეთის უსუსურობის გამო აშკარად განიცდის იქედნურ სიამოვნებას. ამისივე ნათელი მაგალითია აქამდე არნახული გააქტიურება ჰეიდარ ალიევისა: განა შემთხვევით გაიზარდა რეკორდულად მცირე ვადებში მისი პატრიოტიზმი და "მძაფრი ეროვნული თვითშეგნება", რომელიც "უფლებას აღარ აძლევს კვლავაც ითმინოს რუსეთის უღელი", და ახლა იგი ლამის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად გვევლინება. აშკარაა, რომ ამგვარი რამ შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბატონმა ალიევმა ზურგს უკან იგრძნო საკმაოდ დიდი ძალის მხარდაჭერა, რომელზე დაყრდნობითაც მას საშუალება ეძლევა ხელი დაუქნიოს რუსეთს მისი "მრავალსაუკუნოვანი კავშირებითურთ" ისე, რომ არც შედეგების ეშინოდეს და დიდი მოგებაც ნახოს. სხვათაშორის, რაც შეეხება მოგებას: იგი თითქმის პროპორციულია დოლარის მიმართ რუბლის კურსისა, ამდენად, დასავლეთსა და რუსეთს შორის არჩევისას, ნაკლებ მომგებიანია დამოკიდებული იყო მასზე, ვინც თავადაა სხვაზე დამოკიდებული.

დავუბრუნდეთ "ჩვენს" ნავთობსადენს. გულახდილნი თუ ვიქნებით, იმგვარი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქართველოს მმართველთათვის თურქეთის პრემიერის წინადადება სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა. არ მახსენდება, რომ მეთაურს ან მთავრობის მოხელეებს რაიმე მონაწილეობა მიეღოთ ტრასის პროექტების განხილვაში, მოეთხოვათ ან ებრძოლათ საქართველოსათვის მომგებიანი ვარიანტების გამო. და საერთოდ, ბ-ნების შევარდნაძის, რჩეულიშვილისა და მათი ძმების ბოლოდროინდელი გამონათქვამებიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვმოძრაობთ რუსეთთან იმგვარი თვითშერწყმის მიმართულებით, როცა მოსალოდნელია ერთხელაც საქართველო მოსკოვის ოლქის შემადგენელ ნაწილად გამოცხადდეს. და აი, უცებ - დემირელი. თუკი დასავლეთი ცდილობს გააფართოვოს კავკასიაში თავისი ზეგავლენა, ბუნებრივია, იგი გვერდს ვერ აუვლის საქართველოს. ამიტომ, ჩვენს ტერიტორიაზე ნავთობსადენის გაყვანა უნდა გავიგოთ, როგორც რეგიონში დასავლეთის გავლენის გაძლიერებისა და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების მცდელობა.

თურქებთან კონტრაქტზე ხელის მოწერის ან არმოწერის საკითხი ბ-ნ მეთაურსა და მის გუნდს, არსებითად, უფრო დიდი არჩევანის წინაშე აყენებს. როგორი იქნება ამჯერად "მისი არჩევანი"? იტყვის უარს მოსკოვის მფარველობაზე, ანუ ყველაფერ იმაზე, რაც უკანასკნელ დრომდე განსაზღვრავდა მის პოლიტიკას, თუ შეინარჩუნებს "იდეალებისადმი ერთგულებას"..."მტკიცე ნებისყოფას"... და ა.შ. და შესაბამისად, ხელს ჰკრავს დასავლეთს, რომელსაც დიდი გარჯა არ დასჭირდება მისი შემცვლელის მოსაძებნად და რესპუბლიკაში პოლიტიკური კლიმატის შესაცვლელად.

მარჩიელობა პოლიტიკაში უაზრო და უმადური საქმიანობაა. საითკენ გადაიხრება საქართველოს მმართველობა, ჯერჯერობით გაურკვეველია. ნათელია მხოლოდ, რომ გადაწყვეტილების მიღებისათვის საკმარისია რუსეთმაც და დასავლეთმაც მიანიჭონ სრული "კარტ ბლანში", აუცილებელი დაცვისა და მხარდაჭერის გარანტიით.

დემეტრე ქარცივაძე

# გენოციდის მექანიზმი

რევოლუციამდელ რუსეთშიც და საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებშიც იმპერიის სადამსჯელო-პოლიციური სტრუქტურები და სპეცსამსახურები ფართოდ იყენებდნენ მოსახლეობის, მეტადრე დაპყრობილი ერების, მასობრივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური გენოციდის ყველაზე მრავალფეროვან ხერხებს. ათწლეულების მანძილზე ამ სტრუქტურების მეთოდოლოგიური არსენალი იხვეწებოდა და ივსებოდა ახალი, უფრო ფარული და ეფექტური საშუალებებით. შუა საუკუნეების აშკარა, ბარბაროსული გაჩანაგების ნაცვლად შემუშავდა კოლონიური ქვეყნის ასეთივე ბარბაროსული ნგრევის ახალი სისტემა, რომელიც მარიონეტულ ხელისუფლებებზე დაყრდნობით, ადმინისტრაციული ზომებით მავნებლური პოლიტიკის გატარებას გულისხმობს.

ეს პოლიტიკა მოიცავს ყველა სფეროს - სამხედრო, პოლიტიკურ, მმართველობით, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, საგანმანათლებლო, სამედიცინო მომსახურეობას, კალტურას, სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას, - და მიზნად ისახავს ყველა ამ სტრუქტურისა და მთლიანად საზოგადოების იმპერიის მიერ მართვად, უსახო დანამატად გადაქცევას, ეროვნული სახელმწიფოებრიობის არა უბრალოდ მოშლას, არამედ თავად სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღმოფხვრას, ეროვნული კულტურისა და პიროვნული, შემოქმედებითი პოტენციალის დაქვეითებას, ერში თავისუფლების იდეალების პროფანაციას, წინააღმდეგობის უნარის ჩაკვლას.

ოკუპირებულ ქვეყანაში მარიონეტული ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც წესი, ორიენტირებულია ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არასახარბიელო პირობების შექმნის გზით მუდმივი დეფიციტის შენარჩუნებაზე, რაც აუცილებელს ხდის მზა პროდუქციის გარედან შემოტანას. ამის პარალელურად, მომპოვებელი საწარმოების განვითარება და ნედლეულის გატანა იაფ ფასებში კოლონიური ძარცვის კლასიკურ მოდელს წარმოადგენს. საბჭოურმა (და არა მხოლოდ საბჭოურმა) იმპრიალიზმმა ქვეყნის ეკონომიკის შეგნებულ დაქვეითებას დამატებითი, პოლიტიკური ფუნქციაც მიანიჭა: დეფიციტურ და თანაც პოლიტიკურად დაკაბალებულ საზოგადოებაში აქტიურად ვითარდება ფარული გამხრწნელი პროცესები, კორუფცია, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს და ხელს უწყობს ყველა ფენაში კრიმინალური ცნობიერების გაღვივებას და უადვილებს მმართველ სტრუქტურას ადამიანების მოსყიდვის, დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვის, მათი სისუსტეებით მანიპულირების გზით განამტკიცოს თავისი კონტროლი.

რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან საქართველო ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც, ალბათ, სრულად განიცადა სადამსჯელო სამსახურების მთელი სისასტიკე. მეტიც, ჩვენთან ყველაზე მეტად გაცხადდა ამ დრაკონული სისტემის მოქმედების მექანიზმი, მისი არსენალის მთელი სპექტრი.

მაგრამ ამასთან, როდესაც მთელს მსოფლიოში, ახლა კი უკვე თავად რუსეთშიც, იბეჭდებოდა და იბეჭდება საიდუმლო დოკუმენტები სხვადასხვა ქვეყნებში საბჭოთა სპეცსამსახურების მოღვაწეობის შესახებ, საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება კადრს მიღმა. თითქოს ვიღაც საგანგებოდ უფრთხილდება ჩვენი ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გაჟონვას. ჩვენ არაფერი ვიცით არც გასული და არც ამ საუკუნის მოვლენათა მიღმა დამალული რეალური პროცესების შესახებ მაშინ, როდესაც რიგ ქვეყნებში სულ რამდენიმე წლის წინანდელი ფაქტები სრულად იშიფრება. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ იმპერიას ყოველთვის განსაკუთრებული მეურვეობის ქვეშ ჰყავდით აყვანილი. ამიტომაც ჩვენი რეალიების განმარტებისათვის მეტწილად უცხო ქვეყნების წყაროების მოხმობა გვიხდება.

ამ მიზნით ამჯერად გთავაზობთ ერთ საგულისხმო დოკუმენტს, რომელიც გაცემულია 1947 წლის 2 ივნისს მოსკოვში სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უშუალო მონაწილეობით და შეიცავს საიდუმლო ინსტრუქციას ომისშემდგომი პოლონეთის მარიონეტული ხელისუფლებისადმი. იმხანად პოლონეთის “ნამესტნიკად“ დანიშნული იყო “გპუ“-ს მაღალი რანგის აგენტი, ბოლესლავ ბერუტი. ეს ინსტუქცია გამოქვეყნდა ჯერ დასავლეთის პრესაში, შემდეგ რუსეთში (“დემოკრატიჩესკაია როსია“, N4, 1990), ხოლო ერთი თვის შემდეგ საქართველოშიც (“სახალხო განათლება“, 29.11.90).

ჩვენ ვიმეორებთ ამ პუბლიკაციას მცირედი შემოკლებით, ვინაიდან საქართველოში ამჟამად არსებული ვითარება ინსტრუქციაში მოცემული თეზისების პირდაპირ ილუსტრაციას წარმოადგენს. ამასთან მიგვაჩნია, რომ იგი სრულად ააშკარავებს საქართველოში მიმდინარე მოვლენების არსს და მმართველი რეჟიმის მოქმედების სტრატეგიას.

Строго секретно.
КАА/08.113
Москва, 02.06.1947 г.
Инструкция НК/003 47.

1.В здании посольства не принимать местных информаторов. Организовать встречи нашими спецслужбами в общественных местах. Информация принимается посольством через спецслужбы.

2. Не допускать контакты между нашими войсками и гражданскими лицами страны. Офицерскому составу запрещается посещать местных граждан, также запрещен контакт военных с местными женщинами или военными страны с нашими войсками.

## Строго секретно
## КАА/08.113
## Москва. 02.06.1947г.
## Инструкция
## НК/003 47.

... 3. დაჩქარდეს იმ მოქალაქეთა ლიკვიდირება, რომლებიც მონაწილეობდნენ ან სიმპატიებს გამოხატავდნენ ომის შემდეგ ჩვენი თანხმობის გარეშე აღდგენილი პარტიების და ორგანიზაციების მიმართ. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მათ შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციები და გაუგებრობები, აგრეთვე შეიარაღებული ოპოზიციაც.

4. პოლიტიკური რეპრესიებისთვის გამოყენებულ იქნენ სამხედროები არმიიდან (ჩვენს ტერიტორიაზე აღდგენილი არმიიდან), შემდეგ კი მოხდეს ამ სამხედროების ლიკვიდირება.

... 6. ყველა ახალგაზრდული ორგანიზაცია გაერთიანდეს ერთ კომკავშირულ ორგანიზაციად, ჩვენი სამსახურების მიერ დამტკიცებული ხელმძღვანელებით. გაერთიანებამდე მოხდეს ყველა ყოფილი საყმაწვილო და ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ლიკვიდირება.

... 8. ჩატარდეს ადამიანების სისტემატური გამოკვლევა. კარგი ორგანიზატორები და სპეციალისტები, რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ, მოვიზიდოთ ჩვენსკენ, უარის შემთხვევაში ისინი არ უნდა იქნან დაშვებულნი ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

9. ყველა სახელმწიფო მოსამსახურე, მილიციისა და მეშახტეების გარდა, უზრუნველყოფილ იქნას დაბალი ხელფასით. ეს განსაკუთრებით ეხება ჯანმრთელობის დაცვას, სასამართლო-გამწესრიგებელ სამსახურებს, განათლებასა და კულტურას.

10. ხელისუფლების ყველა ორგანოსა და ყველა მსხვილ ქარხანასთან მიმაგრებული უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც თანამშრომლობენ სუკ-თან. ეს განხორციელდეს ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლებისათვის შეტყობინების გარეშე.

11. ყურადღება მიექცეს, რომ პრესაში არ იბეჭდებოდეს ცნობები, თუ რა ოდენობისა და რა სახის საქონელი გააქვთ სსრკ-ში. ხაზი გაესვას, რომ ესაა სავაჭრო გაცვლა.

12. ადგილობრივმა ორგანოებმა მიწის, სახლებისა და ნაკვეთების შემსყიდველებზე არ გასცენ ნოტარიალური აქტები (ანუ მფლობელობის, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი - რედ.), არამედ მხოლოდ საკუთრების მიღების დამადასტურებელი აქტები.

13. კერძო სოფლის მეურნეობის მიმართ, მისი არაეფექტურობისა და დაბალი წარმოების უზრუნველყოფის მიზნით, გატარდეს სპეციალური ეკონომიკური პოლიტიკა. მეორე ეტაპზე დაიწყოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. ძლიერი ოპოზიციის წარმოჩენის შემთხვევაში - შემცირდეს წარმოების საშუალებათა მიწოდება და გაიზარდოს სახელმწიფო გადასახადი. თუ ესეც არაეფექტური გამოდგა - საჭიროა სოფლის მეურნეობის იმ მდგომარეობამდე მიყვანა, რომლის დროსაც მას არ შეუძლია სახელმწიფოს გამოკვება და ამ შემთხვევაში ქვეყანა საზღვარგარეთიდან პროდუქტების შემოტანაზე ამყარებს იმედებს.

14. ეკონომიკური, სამართლებრივი, აგრეთვე ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ყველა კანონის, ბრძანებულებისა და განკარგულების (სამხედრო დოკუმენტების გამოკლებით) ფორმულირება მოხდეს ზუსტი განმარტებების გარეშე.

15. ყოველ საკითხთან დაკავშირებით უნდა ხდებოდეს კომიტეტების, საბჭოების, ინსტრუქციებისა და სხვ. შექმნა ისე, რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება სხვა ინსტანციებთან კონსულტაციების გარეშე.

... 18. წახალისდნენ მხოლოდ ის თანამშრომლები და ხელმძღვანელები, რომლებიც სამაგალითოდ ასრულებენ სამსახურეობრივ დავალებებს, მისი ანალიზის გარეშე.

19. ყველა პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო პასუხისმგებელ ხელმძღვანელ პირს შეექმნას მისი თანამშრომლების თვალში მაკომპრომეტირებელი პირობები, იმ შემთხვევაში, თუ გამორიცხულია მისი დაბრუნება იმავე გარემოში, საიდანაც გამოვიდა.

20. ადგილობრივი არმიის ოფიცერთა კადრებმა საპასუხისმგებლო თანამდებობები შეიძლება მიიღონ მხოლოდ ამ სტრუქტურებში სუკ-ის თანამშრომლების ყოფნის შემთხვევაში.

... 22. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ყველა ლაბორატორია გარემოცული იქნას სპეციალური კონტროლით.

23. ...მოხდეს მხოლოდ იმ გამოგონებათა რეალიზება, რომლებიც შახტების ექსპლუატაციას ეხება. მნიშვნელოვანი გამოგონებები გაიყიდოს საზღვარგარეთ. არ იქნეს დაშვებული გამოგონებათა ფასების გამოქვეყნება.

24. ქვეყნის შიგნით სისტემატურად უნდა ირღვეოდეს სატრანსპორტო მიმოსვლის გრაფიკი (ჩვენი სპეცტრანსპორტის გამოკლებით).

...27. ოფიციალური პირებისა და ხელმძღვანელების ყველა მიმართვა ხალხისადმი საჭიროა შეიცავდეს ქადაგებას ისტორიული და სახალხო სულისკვეთების შესახებ, მაგრამ მთელი ხალხის გაერთიანებაზე მინიშნების გარეშე.

28. ყურადღება მიექცეს ყველა ახალი ქალაქისა და რაიონის მშენებლობას, ერთი მთავარი წყალსადენის გაყვანის მიზნით. ყველა ძველი ჭა და ლოკალური წყალსადენი სისტემატურად განადგურდეს.

29. ქარხნების მოდერნიზებისა და გაფართოების დროს უზრუნველყოფილ იქნეს ჭუჭყიანი წყლების ჩადენა იმ მდინარეებში, რომლებიც სასმელი წყლის რეზერვად გამოიყენება.

30. ახალშენებარე სახლებსა და ბინებში, აგრეთვე ძველი სახლების აღდგენისას არ არის საჭირო პროდუქტების შესანახად და შინაური ცხოველებისათვის დამხმარე სათავსოების აგება.

31. კერძო საწარმოებისა და მათი მუშების მომარაგება მოხდეს დაბალი ხარისხის ნედლეულითა და დანადგარებით, რაც განაპირობებს დაბალი ხარისხის, მაგრამ სახელმწიფო ფასებთან შედარებით ძვირადღირებული საქონლის წარმოებას.

32. ყველა დონეზე - რაიონულ, საოლქო, საქალაქო - შეიქმნას ადმინისტრაციების მაქსიმალური განვითარების პირობები. დასაშვებია ადმინისტრაციების იმგვარი კრიტიკა, რომელიც არ ცვლის მისი მუშაობის სტილს.

33. გეგმის შესრულება კონტროლირებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ საწარმოების მიერ, რომლებიც ამზადებენ ნედლეულსა და ჩვენი ინსტრუქციებით გათვალისწინებულ პროდუქციას. შიდა ბაზრისათვის განკუთვნილი პროდუქტებისა და საქონლის წარმოებაში გეგმის შესრულება აკრძალულია.

34. დაწესდეს კონტროლი ეკლესიაზე, აგრეთვე ახალგაზრდობისათვის შეიქმნას პირობები და სასწავლო პროგრამები, რომელიც განამტკიცებს ეკლესიისადმი სიძულვილს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საეკლესიო ბეჭდურობის, ბიბლიოთეკების, არქივების, ქადაგებისა და სხვ. კონტროლს.

35. ყველა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და საშუალო სასწავლო დაწესებულებიდან გაძევებულ იქნენ ის პედაგოგები, რომლებიც მოსწავლეებსა და მოსახლეობას შორის დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობენ. მათ ადგილას დაინიშნონ ახალი მასწავლებლები. სასწავლო პროგრამები შედგენილი უნდა იყოს იმგვარად, რომ საგნებს შორის არ არსებობდეს კავშირი. შეიზღუდოს ახალი დამხმარე სასწავლო გამოცემა. საშუალო სასწავლო დაწესებულებებში შეწყდეს ლათინური, ბერძნული ენების, ზოგადი ფილოსოფიის, ლოგიკის, გენეტიკის სწავლება. ისტორიის სწავლებისას არ უნდა იყოს საუბარი მეფეების სამშობლოსათვის სასიკეთო მოღვაწეობის შესახებ, პირიქით, ხაზი გაესვას მათ ტირანიასა და დამცირებული ხალხის ბრძოლას. პროფესიული სასწავლებლები ორიენტირებული უნდა იყოს ვიწრო სპეციალობათა დაუფლებაზე.

36. დამპყრობლების (რუსების გამოკლებით) წინააღმდეგ ბრძოლის წლისთავების აღსანიშნავად სავალდებულოა სახელმწიფო მიტინგების ორგანიზება, აგრეთვე ხაზი გაესვას გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლას და, განსაკუთრებით, ბრძოლას სოციალიზმისათვის.

37. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და წიგნებში იკრძალება მონაცემების გამოქვეყნება [illegible] რივი პირების შესახებ, რომლებიც რევოლუციამდე და მეორე მსოფლიო ომის დროს ცხოვრობდნენ რუსეთში.

38. იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ან აღდგება რაიმე ორგანიზაცია, რომელიც ინარჩუნებს მეგობრულ ურთიერთობებს სსრკ-თან, მაგრამ ცდილობს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის კონტროლირებას, - მათ ბრალი უნდა დავდოთ შოვინიზმსა და ნაციონალიზმში (ჩვენი მოქმედებები არ არის დამოკიდებული სახელმწიფო ორგანოებზე). მოქმედების ხერხები: ჩვენი სასაფლაოებისა და ძეგლების განადგურება, გამოქვეყნება და გამრავლება მიმართვებისა, რომლებიც შეიცავს რუსი ხალხის, რუსული კულტურის, სსრკ-სა და მათ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებების დაცინვას. ამ პროპაგანდისთვის, ქვეყნის მოქალაქეთა მოზიდვის გზით, გამოყენებულ იქნეს სსრკ-სადმი არსებული სიძულვილი.

39. საჭიროა ზრუნვა გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, რათა მოულოდნელი ინტერვენციის შემთხვევაში ჩვენმა ჯარებმა მოკლე დროში ყველა მიმართულებით შესძლონ ოპოზიციურ ძალთა ცენტრებთან მიახლოება.

40. დაპატიმრებულ იქნენ ყველა პოლიტიკური მოწინააღმდეგენი. განსაკუთრებული დევნა დაწესდეს მათზე, ვისაც გააჩნია ავტორიტეტი მოსახლეობაში. მოხდეს ყველა პოლიტიკური მოწინააღმდეგის ლიკვიდირება ისე, რომ მათ ბრალი დავდოთ მძიმე კრიმინალურ დანაშაულებში.

41. არ იქნეს დაშვებული პოლიტიკურ პროცესებზე განსჯილ ადამიანთა რეაბილიტირება. რეაბილიტირება დასაშვებია მხოლოდ სასამართლო შეცდომის გამოსწორების პირობით, და ეს უნდა მოხდეს გამოძიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებით განსჯილთა დაკითხვის გარეშე.

42. პარტიის მიერ თანამდებობებზე დანიშნული პირები არ შეიძლება წარსდგნენ სასამართლოს წინაშე, დამოუკიდებლად იმისა, რაში მიუძღვით დანაშაული - ეკონომიკური დანაკლისის თუ ქვეშემდგომთა უკმაყოფილების გამო. დრამატულ სიტუაციებში ეს პირები გადაყვანილ იქნენ ტოლფას, ან უფრო მაღალ პოსტებსა და თანამდებობებზე ოლქებსა და ქალაქებში. უკიდურეს სიტუაციაში შესაძლებელია ამ პირების ჩვეულებრივ სამსახურებში დანიშვნა და მომავალში საკადრო რეზერვად გამოყენება.

43. იმ პირებზე, ვინც არ არის დამტკიცებული ჩვენი სპეცსამსახურების მიერ (ეს განსაკუთრებით ეხება არმიის კადრებს, გენერალურ დირექტორებს, მინისტრებს), გამოქვეყნდეს სასამართლო პროცესები, რომლებშიც ისინი ბრალდებულნი იქნებიან ხალხის, სოციალიზმისა და ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში. ეს გაზრდის საზოგადოებაში ეჭვებს და ხელს შეუწყობს მუშათა კლასის მობილიზებას.

44. სისტემატურად უნდა კონტროლდებოდეს, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშნული პირები წარმოშობით იყვნენ მუშათა კლასიდან და აგრეთვე ჰქონდეთ ყველაზე დაბალი კვალიფიკაცია.

45. უმაღლესი სასწავლებლებისთვის სისტემატურად უნდა ხდებოდეს ადამიანების შერჩევა მოსახლეობის ყველაზე დაბალი კატეგორიიდან, ან პროფესიულად არადაინტერესებული პირებისა, რომლებიც მხოლოდ დიპლომის მიღებას ესწრაფიან.

*პუბლიკაცია მოამზადა*
ლევან ურუშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ - აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველები...

ჩვენ ვართ აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველები. უკვე ორი წელია, რაც მშობლიურ სახლ-კარს მოწყვეტილნი, ვიმყოფებით აჭარაში, ციხისძირის პანსიონატში "ცისარტყელა". ამ წერილის დაწერა გვაიძულა იმ უმძიმესმა მდგომარეობამ, რომელშიც აღმოვჩნდით.

ფაქტიურად ვშიმშილობთ. ჩვენი არსებობის ერთადერთი საშუალებაა წყალი და პური, ეს უკანასკნელიც ისეთია, ძაღლიც რომ არ იკადრებს. ე.წ. ჰუმანიტარული დახმარების სახით ამ ორი წლის განმავლობაში მიღებული გვაქვს: 3 კგ. პურის ფქვილი, 1 კგ. რძის ფხვნილი, 2 ლ. ზეთი, 2 კგ. შაქარი, 1 კგ. ლობიო, 300 გრ. ვერმიშელი. ამასთან, პანსიონატის დირექციამ დაკეტა სასადილო, რომელიც აქამდე მეტ-ნაკლებ შეღავათს გვიქმნიდა.

ამ ხნის მანძილზე არავითარი დახმარება არ მიგვიღია მცირეწლოვანი ბავშვების, მოხუცებისა და აფხაზეთში მებრძოლი ინვალიდებისთვის. სამედიცინო დახმარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რამდენიმე ხნის წინათ ოცამდე ადამიანი დაავადდა ჰეპატიტით, მაგრამ მათი სტაციონარში მოთავსებაც კი ვერ მოხერხდა. არც ექიმი გვყავს და არც წამლის ყიდვის საშუალება გვაქვს, ვინაიდან ჩვენი კუპონები არავის სჭირდება. მძღოლებმა თუ გვიცნეს, რომ ლტოლვილები ვართ, ავტობუსსაც არ გვიჩერებენ, ვინაიდან ჩვენ რუსული ფული არა გვაქვს.

ზამთარი კარზე მოგვადგა, ჩვენ კი თბილი ტანსაცმელიც კი არა გვაქვს, მათხოვრებს დავემსგავსეთ. ტანსაცმლისა და სასკოლო ნივთების უქონლობის გამო, ბავშვები იძულებულნი არიან გამოეთიშონ სასწავლო პროცესს. ზამთრისთვის თითო ოჯახზე თითო თბილი გადასაფარებელი ("პლედი") დაგვირიგეს.

ბევრმა შეიძლება არც დაიჯეროს ეს ყველაფერი, იფიქროს - თავს გვაცოდებენო. ვისაც არ სჯერა, ჩამოვიდეს და საკუთარი თვალით იხილოს ჩვენი სავალალო მდგომარეობა, რომელიც დღითიდღე სულ უფრო უარესდება. როდემდე უნდა ვითმინოთ ასეთი გაჭირვება, ადამიანური ღირსების შეურაცხყოფა?!

ნუ გგონიათ არავისთვის მიგვიმართავს, არავისთვის შეგვიჩივლია. რამდენჯერმე მივწერეთ ედუარდ შევარდნაძეს, მიმართვა გავუგზავნეთ ე.წ. "ხსნის არმიის" მეთაურს საქართველოში, კაპიტან რონალდ ლის, სხვებსაც, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. მათ ყველას, როგორც ჩანს, საკუთარი გეგმები აქვთ საქართველოში და ჩვენ არც ვაინტერესებთ. ისე კი გაიძახიან - ყველაფერი ლტოლვილებისთვისო. ნათელია, რომ ჩვენს ხარჯზე სხვები ისქელებენ ჯიბეს, ჩვენ და ჩვენი შვილები კი შიმშილით ვიხოცებით. რისი იმედით უნდა გვქონდეს?!

ჩვენ თუ ვერა, ღმერთი მაინც მოჰკითხავს პასუხს ჩვენს დამაქცევარს.

ლ. ჟორჟოლიანი
ლ. ქვეითაია
ნ. კოპიანიძე
მ. ხარაიშვილი
ვ. სტოიანოვა
შ. ლობჟანიძე
ბ. გუგეშაშვილი
ნ. მანაგაძე
ლ. ჯომიდავა
ლ. ჟორჟოლიანი
ს. ხურცილავა
რ. მეტრეველი
მ. ფირცხალაიშვილი
ი. ჩიქვილაძე
მეტრეველი ლილი
შუბითიძე მიტუშა
რეხვიაშვილი მერი
მანაგაძე
ფაცაცია ნინო
როსტობაია ვერა
თოდუა ლარისა
კვიტატიანი თენგიზი
ჯომიდავა გენადი
საჯაია დავითი
ჩალაძე
გორდელაძე თინათინ
ხასაია ზაურ
რურუა გიორგი
კაკაჩია ომეხი

სულ 300-მდე ხელმოწერა

## აფხაზეთში ქართველებს მონებად ჰყიდიან

აფხაზეთის რეგიონში დამკვიდრდა ტყვეებითა და მონებით ვაჭრობა. ენგურის გაღმა-გამოღმა უკანონო რეჟიმების მაფიათა გარიგებით საბედიანოში ჩატყუებული მოსახლეობის ნაწილს ატყვევებენ და მერე ჰყიდიან ერთ ადამიანს ხუთასი ათასიდან ერთ მილიონ რუბლამდე.

საზარელი ამბავი დატრიალდა ამა წლის სექტემბერში გულრიფშის რაიონის სოფელ ბალმარანში ქსენია ბერულავას - 80 წლის პენსიონერის, ყოფილი პედაგოგის ოჯახში: მისი და ნადუ ბერულავა, ძმა კაპიტონი და რძალი მუშუ თბილისში მცხოვრებ ნათესავებს უნდა გამოესყიდათ თითოეული ნახევარ მილიონ რუბლად.

მონათმფლობელთა შიდაუთანხმოების გამო, ისინი ღამის ორ საათზე გამოიყვანეს საკუთარ ბაღში და დახვრიტეს.შემდეგ შეყარეს სახლში და ამობუგეს.

წითელმა ჯვარმა თბილისელ ჭირისუფალთ დაუდგინა და აცნობა: "იხ ნეტ ვ ჟივიხ, პოხორონენი ვ უსადბე".

15 ოქტომბერს სოხუმის რაიონის სოფელ ლინდავიდან გაქცევა მოახერხა ორჯერ მონად გაყიდულმა შარო ასლანიკაშვილმა. მას პატრონები ამუშავებდნენ გუდაუთასა და სოხუმის რაიონში.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში სახლ-კარის გადაწვა ან შიგ ოკუპანტების ჩასახლება, ქართველთა ხოცვა, ძარცვა, გაუპატიურება, აფხაზებად ჩაწერა ყოველდღიური ყოფითი სურათია, რაც თავისთავად თავზარდამცემია, მაგრამ ამაზე უფრო შემზარავი ის არის, რომ ამ ჯოჯოხეთიდან სასწაულით თავდახსნილ ხალხს აფხაზეთის ომიდან "ღირსეულად" გამოსულმა ხელისუფლებამ ყველაზე დამამცირებელი, ყველაზე მწარე განსაცდელი არგუნა - უმომავლო, უღირსებო მონის უმძიმესი ხვედრი.

ე.პ.მ. "ჭყონდიდელის" პრესცენტრი

## ამერიკა ეხმარება რუსეთს აღორძინოს იმპერია

რადიო "თავისუფლების" რუსული რედაქციის პროგრამამ "პოლიტოლოგები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესახებ" 1994 წლის 17 ოქტომბერს გადმოსცა საუბარი ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგთან, აშშ-ს ავტორიტეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის - "მემკვიდრეობის ფონდის" წამყვან თანამშრომელთან, დოქტორ არიელ კოენთან, რომელიც ხშირად უწევს კონსულტაციებს აშშ-ს კონგრესს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დსთ რეალურად არ არის არანაირი თანამეგობრობა და ეს სახელწოდება მხოლოდ თვალის მოსატყუებელი შირმაა. რეალურად კი დსთ მოსკოვის ჰეგემონიას დაქვემდებარებული, უნიტარული სახელმწიფო სისტემის აღორძინებისაკენ მიმავალი გაერთიანებაა. ამერიკელი პოლიტოლოგის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი და აშშ დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ სსრკ-ს ტერიტორიაზე სუვერენული ეროვნული სახელმწიფოების განვითარებით, ევროპისა და ამერიკის მმართველი პოლიტიკური წრეები იჩენენ უმოქმედობას, რითაც საშუალებას აძლევენ რუსეთს აღორძინოს ახალი იმპერია.

## დანაშაული - თანამედროვე საქართველოს სიმბოლო

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მონაცემებით, ორგანიზებული დანაშაული იქცა თანამედროვე საქართველოს სიმბოლოდ. მთელი ეკონომიკური სფერო დანაწილებულია მსხვილი კრიმინალური დაჯგუფებების მიერ, რომელთაც ჰყავთ საკუთარი შეიარაღებული ფორმირებები და სარგებლობენ პოლიტიკური მხარდაჭერით. საშიშ ხასიათს იძენს ნარკომანია: საქართველო ხდება საერთაშორისო ნარკობიზნესის ერთ-ერთი უმთავრესი გამტარი. "დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა არის მარტოოდენ ლოზუნგი, რომლის მიღმა ერთი მაფიოზური დაჯგუფება ცდილობს მეორის გაძევებას". ("ნეზავისიმაია გაზეტა", 1994 წლის 9 ივლისი).

## "ჰუმან რაითს ვოთჩ" ადანაშაულებს შევარდნაძეს

"ჰუმან რაითს ვოთჩ / ჰელსინკის" თანახმად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში - საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ადამიანის უფლებათა ხელყოფა, მათ შორის ადამიანთა წამება. "ჰუმან რაითს ვოთჩ / ჰელსინკის" მოხსენება, ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევაში ბრალს სდებს საქართველოს ხელმძღვანელს ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც მოითხოვს სასამართლოს მიერ ჯერ განუსჯელი ხალხის სიკვდილით დასჯას. "ადგილი აქვს ადამიანის უფლებების უხეშეს დარღვევებს, მსჯავრდებულთა წამებებსა და ცემას, მათი ოჯახებისა და ადვოკატების დევნას" - განაცხადა "ჰელსინკი ვოთჩი"-ს წარმომადგენელმა". (რეიტერის სააგენტო - გ. "ინდეპენდენტი" (ინგლისი), 1994 წლის 18 აგვისტო).

## ადამიანის უფლებების დარღვევები საქართველოში

"შევარდნაძის რეჟიმის მიერ საქართველოში სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები, რის შესახებაც ხმამაღლა არის განცხადებული ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციის "ჰიუმან რაითს ვოთჩ /ჰელსინკი"-ს მოხსენებაში". - ვკითხულობთ სტატიაში "ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები საქართველოში", რომელიც შვეიცარიული გაზეთის "ნოიე ციურხერ ცაიტუნგი"-ს 1994 წლის 19 აგვისტოს ნომერშია გამოქვეყნებული. წერილი ეფუძნება როგორც ზემოხსენებული ავტორიტეტული ორგანიზაციის მოხსენებას, ისე მისი წამყვანი თანამშრომლის მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელის, ქ-ნ ერიკა დეილის ინფორმაციას.

წერილში მიმოხილულია დღევანდელ საქართველოში წარმოებული რეპრესიების მიზეზები. "გამსახურდია 1991 წლის მაისში დემოკრატიულად იქნა არჩეული და 1992 წლის დამდეგს საქართველოს დღევანდელი მეთაურის შევარდნაძის შეიარაღებული მეგობრების მიერ იქნა სამშობლოდან გაძევებული". - აღნიშნულია სტატიაში. ავტორი მიანიშნებს, რომ შევარდნაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგაც ჰქონდა ადგილი სხვაგვარადმოაზროვნეთა მიმართ რეპრესიებს, რომ ამჟამად ზვიად გამსახურდიას 16 მხარდამჭერი ელოდება მძიმე განაჩენს.

წერილში ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, რომ გასული წლის შემოდგომაზე დასავლეთ საქართველოში პრეზიდენტის მომხრეთა მოძრაობის ჩახშობა შევარდნაძემ მხოლოდ რუსეთის ჯარის საშუალებით შესძლო. ამასთან, ეხება რა ამჟამინდელ პოლიტპატიმართა მდგომარეობას, წერილის ავტორი იხსენებს 1983 წელს, როდესაც საქართველოს პარტიულ შეფად ყოფნისას, შევარდნაძემ სასტიკად დასაჯა ის ახალგაზრდები, რომელნიც თვითმფრინავის გატაცებას ლამობდნენ.

# ახალი ცენტურიონები, ანუ სასარგებლოა თუ არა კომპიუტერული თამაშები

გააჩნია, როგორ მივუდგებით საკითხს: თუ გამოსხივებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, მაშინ საზიანოა, აკი დამცველი ეკრანიც გამოიგონეს. თუ ინტელექტუალურ-განმანათლებლურ ასპექტზეა საუბარი, კომპიუტერი უდავოდ დიდი სიკეთის მომტანია ყმაწვილთათვის შექმნილი ისტორიულ-გეოგრაფიული თამაშების წყალობით. მილიონიანი ტირაჟებით გამოსული (მეტწილად ამერიკული წარმოების) ინგლისურენოვანი დისკეტები მსოფლიოს ახალგაზრდობის გაკომპიუტერებულ მოწინავე ნაწილს ულრმავებს ცოდნას, შესძენს გამჭრიახობასა და, რასაკვირველია, ჯანსაღ პოლიტიკურ ორიენტაციას.

თავს უფლებას მივცემ შეგახსენოთ, რომ ყოველი (თუნდაც ულტრათანამედროვე) მანქანის პროგრამა, ჯერჯერობით, ცოცხალი ადამიანების შემოქმედების შედეგია და რასაც ავტორი კომპიუტერის მეხსიერებაში შეიტანს, იგივე "ათამაშდება" დისპლეიზე. პრინციპი - "კოკასა შიგან რაცა დგას..." - ურყევია და მომავალშიც საეჭვოა შეიცვალოს.

არც თამაში "ცენტურიონი - რომის დამცველი" გახლავთ გამონაკლისი, ისიც ჩვენი თანამედროვე ადამიანების მიერ არის შექმნილი ("კლეინ ბეკი და ბიტს ოფ მეჯიკი", 1990 წ.).

ამაოდ არ დამშვრალან "კლეინი და კომპანია" - კაცობრიობის ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი მონაკვეთი "გაუთამაშებიათ". აქ ბევრი რამ არის ჩატვირთული: ქვეყნები, ქალაქები, გეოგრაფიული რუკები, სახელმწიფოს საზღვრები, ბრძოლების ადგილები. ერთი სიტყვით, "ცენტურიონის" მოთამაშე ძველი სამყაროს გეოგრაფიულ-პოლიტიკურ სიტუაციაშიც ეფლობა ძალაუნებურად. თამაში, თავდაცვითი სახელწოდების მიუხედავად, აშკარად აგრესიულია, კედლების რღვევის პაციფისტურ-ინტეგრაციული ეპოქის ვითარებას ნაკლებად შეეფერება, მაგრამ ვიყოთ ლმობიერნი - ომობანას თამაში ყველა ჩვენთაგანის აღზრდის აუცილებელი ეტაპია. ეს ეტაპი, ეტყობა, არც ოკეანისგადაღმელთათვის არის უცხო. "ცენტურიონის" არსი ევრაზიის ფართო ტერიტორიაზე რომაელთა მეშვეობით სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობაა, მაგრამ ბრძოლები, ტაქტიკური სვლები, გამარჯვება-დამარცხებები და მოთამაშეთა მხედართმთავრული ამბიციები, ამ წერილის ავტორის ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო კომპიუტერულმა "ისტორიულმა რუკამ", ზედ გამოსახული სახელმწიფო საზღვრებით.

მოვიმარჯვე რა "ეკრანული ისარი", მივაბჯინე იგი პლანეტის იმ რეგიონს, რომელსაც ამიერკავკასია ეწოდება, უფრო ზუსტად კი მცხეთა-თბილისის რაიონს. ისარს ღილაკიც წავაშველე, კომპიუტერი საამოდ აჟღურტულდა და გამოჩნდა ლამაზი წარწერა ..."Armenia".

საგულდაგულოდ შემოვატარე ისარი საკმაოდ მოზრდილი სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიას, რომელიც კოლხეთ-იბერიის გარდა მოიცავდა სრულიად ამიერკავკასიას, წინა აზიის საკმაო ნაწილსაც და თავად ისტორიულ სომხეთსაც.

ამ კომპიუტერულ-ისტორიული ვოიაჟის დროს ყველგან მკაფიოდ ციმციმებდა ინგლისური წარწერა "Armenia" . ხსენებული სახელმწიფოს მკვიდრის დისპლეური პორტრეტიც გამოისახა: ბრეჟნევისწარბიანი, ტყაპუჭიანი, წვეროსანი სუბიექტი, მსგავსი თანამედროვე რუსი ბომჟისა, ან არყის ბოთლის ეტიკეტზე დახატული გრიშკა რასპუტინისა.

თამაშის ამ ეტაპზე (ბომჟ-არმენის გამოჩენის შემდეგ) ტიტრებიც აკიაფდა: "ადამიანი არ ეძებს სიკვდილს, სიკვდილი მონახავს ადამიანს!" ეს ტექსტი-აფორიზმი (ალბათ არქაული არმენულით) დაუღრიალა ბეჩავ რომაელ ლეგიონერებს ბრეჟნევისწარბა ტყაპუჭიანმა. ზემოხსენებული ინციდენტის შემდეგ ანგლო-საქსონელმა, ან კომპიუტერზე მოთამაშე სხვა ინგლისურენოვანმა პიროვნებამ, ცხადია, უნდა აირჩიოს: განაგრძოს არმენიის სახიფათო კამპანია თუ ჩვენი დროის სხვა ინტელექტუალურ-მექანიზებულ გასართობ მოწყობილობებს მიაშუროს.

სხვისი არ ვიცი, მე კი, საშუალება რომ მომცემოდა, დავძაბავდი ჩემს მეხსიერებას და ისტორიულ იბერიულ-კავკასიურ მოსაზრებებს გავუზიარებდი კლეინსა და მის კოლეგებს, ვეტყოდი:

1. ბატონებო! ყოველი კულტურული ადამიანი დედამიწის ზურგზე, უნდა გაეცნოს მითების აუცილებელ მინიმუმს, მეტადრე, პრომეთე-ამირანისა და საოცნებო კოლხეთის შესახებ;

2. მილიონებისათვის გათვალისწინებული თამაშების შემქნელი (მითუმეტეს ისტორიული თემატიკისა), თავისი თამაშების შეთხზვამდე, ვალდებულია გათვითცნობიერდეს არჩეული თემის არსში;

3. რასაკვირველია, არც ფარნავაზის, არც ფარსმანის ("უშიშის ვითარცა უხორცოს", რომლის ქანდაკება თვით რომში იქნა აგებული), არც მირიან მეფის შარავანდთა ბრწყინვალებას არაფერი დააკლდება ვიღაც კლეინ ბეკის კანტორის "თამაშობებით", მაგრამ მსოფლიო ცივილიზაციის გვირგვინის ერთ-ერთი მარგალიტის - საქართველოს ისტორიის უგულვებელყოფა-ფალსიფიცირება, ისევ მოთამაშე ახალგაზრდებს გაუწევს დათვურ სამსახურს და არ არის გამორიცხული ზრდადასრულების შემდეგ, მათ შეცდომები დაუშვან პოლიტიკასა თუ ყოფით ურთიერთობებში. არც ჩვენი მოძმე სომხეთ-არმენიაზე შეექმნებათ "კომპიუტერელებს" რეალური აზრი (თუმცა,შესაძლოა სწორედ ესაა კლეინ ბეკის დაწესებულებისა და მისი "კონსულტანტების" მისწრაფება!).

ერთი სიტყვით, ვურჩევდი ელინურ-რომაული კომპიუტერული ისტერნების შემქნელ ისტორიკოსმითოლოგებს, გეორგიანელებზე თავად ანტიკური ეპოქის ავტორების რუკები ეხილათ და მათი თხზულებანი წაეკითხათ, მაშინ გაიგებდნენ, რომ: "კავკასიონის მთების ძირში ცხოვრობენ ამაყი იბერები, რომელთა ტანის ნაკვთები ღმერთის მიერაა მოზომილი და წარბები ქედმაღლურად აწეული აქვთ".

ალექსანდრე ჟღენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიამ უნდა გაატაროს ღვთაებრივი პოლიტიკა

## ისა ქაძოევი

კორესპონდენტი - დღეს მეტად დაძაბული ვითარებაა ჩეჩნეთის გარშემო. როგორ განვითარდება მოვლენები, არავინ უწყის. საინტერესოა, როგორ აღიქმება ინგუშეთში ჩეჩნეთის დღევანდელი პრობლემები.

ბ-ნი ისა ქაძოევი - მე ჩემს პირად აზრს მოგახსენებთ. მდგომარეობა მეტად რთულია. რუსეთი ყოველნაირად ცდილობს სისხლში ჩაახშოს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა. მაგრამ ამ ვითარებაში, მიუხედავად მისი სიცხადისა, ჩემთვის ბევრი რამ არის გაუგებარი. მაგალითად, არ მესმის, რატომ გამოდის სტაროვოიტოვა ჩეჩნეთის დასაცავად. ეს მითუმეტეს უცნაურია, რომ სულ ცოტა ხნის წინ ყველაფერი სხვაგვარად იყო. რამდენიმე თვის წინათ, თეთრ სახლში აბდულატიპოვის, რუსეთის რამდენიმე დეპუტატისა და ინგუშეთის დელეგაციის წევრთა თანდასწრებით, კითხვაზე, თუ როგორ განვითარებოდა რუსეთის პოლიტიკა კავკასიასთან დაკავშირებით, სტაროვოიტოვამ ცალსახად განაცხადა, რომ ცარიზმის დროსაც, ბოლშევიკების პერიოდშიც, დღესაც და მომავალშიც რუსეთის კურსი უცვლელი დარჩება კავკასიასთან მიმართებაში - იგი არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებს ამ რეგიონს. სამხრეთ კავკასიაში რუსეთი სომხეთს დაუჭერს მხარს, ხოლო ჩრდილოეთში ოსეთს. სახელმწიფო პოლიტიკაც ამ ინტერესების გათვალისწინებით განვითარდება.

ახლა კი რა ხდება, იგივე სტაროვოიტოვა, "დემოკრატიული რუსეთის" სახელით გმობს რუსეთის პოლიტიკას ჩეჩნეთის მიმართ. ვერ ვიგებ ამ "ფერისცვალების" აზრს. ასეა თუ ისე - რეალობა მეტად შემაშფოთებელია - ჩეჩნეთი დღეს არის რესპუბლიკა, რომლის დამოუკიდებლობა მხოლოდ დე ფაქტოდ არსებობს, იგი ჯერ არავის უცვნია და რუსეთი ყოველნაირად ცდილობს თავის მარწუხებში მოაქციოს ეს პატარა ქვეყანა. გაუთავებლად ეწყობა პროვოკაციები კაზაკების ასამხედრებლად ჩეჩნეთის წინააღმდეგ. ღმერთმა დაიფაროს და ერთხელაც რომ აფეთქდეს ეს ნაღმი, სასტიკი ომი გაჩაღდება კაზაკებსა და ჩეჩნებს შორის. რუსეთს იმედი აქვს, რომ თავისთვის სასარგებლოდ გამოიყენებს ამ სიტუაციას: რუსულ დივიზიებს კავკასიაში გადმოისვრის, კაზაკურს დაარქმევს და საშინელ სისხლის ღვრას მოაწყობს ჩეჩნეთში. ეს სისხლის ღვრა რომ დამთავრდება, რუსეთი გამშველებლის როლში მოევლინება კავკასიას, როგორც ეს საქართველოში მოხდა, როგორც ტაჯიკეთში ხდება. აი, ასეთია რუსეთის დღევანდელი გეგმები. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ინგუშები კიდეც იცინიან - როგორი უნიჭო ერთფეროვნებით მეორდება ყველაფერი. ხაზბულატოვი შევარდნაძის პროტოტიპია, ლაბაზანოვი - იოსელიანის. ერთ-ერთ მიტინგზე მოხუცებმა პირდაპირ უთხრეს ხაზბულატოვს - შე ჩეჩენო შევარდნაძევ, არა გრცხვენია, საკუთარი ქვეყნის დასაღუპავად რომ დაბრუნდი სამშობლოშიო.

კორ. - ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ხაზბულატოვი იყო პირველი პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც გამსახურდიას განდევნის შემდეგ, გამარჯვება მოულოცა ქართველ პუტჩისტებს.

ი.ქ. - საქართველოსთან მიმართებაში გამახსენდა. ისიც არ შესმის, ბეპაევი, საქართველოს დამღუპველი, რომელიც პუტჩისტებს ტანკებით და ტყვია-წამლით ამარაგებდა, რატომ უჭერს დღეს მხარს იმათ, ვინც ჩეჩნეთის თავისუფლებისთვის იბრძვის. ბევრი რამ არ მესმის საერთოდ, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, ჩეჩენი ხალხი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს თავისუფლებისთვის. ამ ბრძოლაში ინგუში ხალხიც მათ გვერდით იქნება, და თუ ბოლოს და ბოლოს რუსეთმა მაინც მოახერხა აქ სერიოზული ომის გაჩაღება - ძალიან ბევრი სისხლი დაიღვრება, მთელი კავკასია ნასეტყვარ მინდორს დაემსგავსება. მე ვგრძნობ ამას. მარტო მე კი არა, ყველა გრძნობს. ჩეჩნებიც, ინგუშებიც ამ სასტიკი ომის მოლოდინში ცხოვრობენ. დააკვირდით, აქ აღარავინ ცხოვრობს მომავლით, არაფერს აშენებენ, არაფერს ყიდულობენ - ყველა ერთი და იგივეს ფიქრობს. ნებისმიერი ინგუში რომ გააჩეროთ, იგივეს გეტყვით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა განვთავისუფლდეთ ამ ჭირისგან, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს თავისუფლება. ერთიანი ტალღა უნდა აზვირთდეს იმპერიის საწინააღმდეგოდ. აქ, მოხუცები კიდეც ხუმრობენ, სანამ წითელ მოედანზე არ მოვუწყობთ ნამაზს რუსებს, ვერც ერთი დაჩაგრული ერი თავისუფლებას ვერ ეღირსებაო.

მოკლედ, პროგნოზები უსიხარულოა. ხალხი დიდ ომს ელოდება. მაგრამ როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს ომი, ერთი რამ ცხადია - არც რუსეთისთვის იქნება უმტკივნეულო კავკასიური ომის შედეგები. კავკასიას ადვილად ვერავინ მოინელებს.

კორ. - რა გამოსავალს ხედავთ ამ მდგომარეობიდან? ხომ ცხადია, რომ დიდი ქვეყნისთვის უფრო ადვილია ასეთი ომის წარმოება, ვიდრე პატარა ქვეყნებისთვის. ულევი იქნება სისხლიც და მსხვერპლიც.

ი.ქ. - ერთადერთი გამოსავალი ჩვენი გაერთიანებაა. მე ადრე სულ ვამბობდი, რომ უნდა შეიქმნას კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია. ახლა კონფედერაციაც აღარ მინდა. ერთი, ძლიერი, მონოლითური სახელმწიფო უნდა შევქმნათ. რაც გინდა ერქვას ამ სახელმწიფოს, გნებავთ - საქართველო, გნებავთ - კავკასია. დავით აღმაშენებლის დროს ჩვენ საქართველოს შემადგენლობაში შევდიოდით და შესანიშნავად ვგრძნობდით თავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სახელმწიფოს შიგნით არ იქნება ტერიტორიული პრეტენზიები, სერიოზული დავა, შფოთი, კინკლაობა. კავკასიის ყველა მკვიდრმა ერმა იცის თავისი სამშობლოს საზღვრები, ზედმიწევნით ერკვევა სად იწყება და სად მთავრდება მათი მამა-პაპათა მიწა-წყალი. არა მგონია, რომ ამ მხრივ რაიმე სირთულეები გაჩნდეს. მე მესმის, რომ ამ ეტაპზე ეს მხოლოდ ოცნებაა, მაგრამ ჩვენ ამას უნდა ვესწრაფოთ. მთელი ჩვენი ენერგია, მცდელობა, მოქმედება ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შესაქმნელად უნდა იყოს მიმართული.

სამწუხაროდ, ზვიადის შემდეგ, რომელიც სრულიად კავკასიის აღიარებული ლიდერი იყო, ასეთი სახელმწიფოს შექმნა გართულდება. დღეს მე ვერ ვხედავ კავკასიაში ასეთივე მასშტაბის ფიგურას, რომელიც ერთნიშნად მისაღები იყოს ყველა ერისთვის. ზვიადი გამოვიდა საქართველოს მასშტაბებიდან და საერთო კავკასიური ავტორიტეტი გახდა. გროზნოში მასთან განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ დელეგაციები სხვადასხვა კუთხეებიდან. სწორედ ამისი ეშინოდათ ყველაზე მეტად ჩვენს მტრებს. ზვიადის გარშემო ბუნებრივად ერთიანდებოდა კავკასია.

ერთხელ ნაზრანში, მიტინგზე ხალხი ბჭობდა ვისთვის უნდა დაეჭირა მხარი საპრეზიდენტო არჩევნებში. გამოვიდა ერთი მოხუცი და დამსწრეთ მიმართა - გადაირიეთ, ხალხო, რაზე კამათობთ, ხომ გვყავს უკვე პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, კავკასიას მეტი პრეზიდენტი აღარ სჭირდება, სასაცილო არ იქნება, ყველა აულს თავისი პრეზიდენტი ჰყავდესო.

სამწუხაროდ, დღეს ასეთ ფიგურას ვეღარ ვხედავ. მაგრამ აუცილებლად გამოჩნდება ვინმე და ის ზვიადივით წმინდა კაცი იქნება. იმიტომ, რომ თვითონ კავკასიაა წმინდა ადგილი. აქ ისეთი პოლიტიკა არ გამოგვადგება, როგორიც მსოფლიოშია მიღებული - ფლიდი, ვერაგული, გაქნილი პოლიტიკა. კავკასიას ღვთაებრივი პოლიტიკა სჭირდება - მართალი, პირდაპირი, სამართლიანი. სხვა პოლიტიკა აქ ფეხს ვერ მოიკიდებს.

კორ. - რატომ ხდება, რომ დღევანდელი კავკასიის პრობლემების კონცენტრირება ვაინახების გარშემო ხდება. როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა ჩეჩნეთი და ინგუშეთი კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი?

ი.ქ. - ამ კითხვაზე უბრალო პასუხი არსებობს. ისევ რუსეთს უკავშირდება ყველა კავკასიური "საიდუმლო". სწორედ რუსეთის პოლიტიკის სისასტიკემ განაპირობა ჩვენი გაავთრებული შეურიგებლობა მათ მიმართ. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი როლი ჩვენმა გასახლებამ ითამაშა. მაშინ ჩვენ უზარმაზარი მსხვერპლი გავიღეთ, თითქმის განახევრდა ერი, მაგრამ ვერ გაგვტეხეს. პირიქით, კიდევ უფრო შეგვაკავშირა ამ უბედურებამ - გავძლიერდით, გავმხნევდით, გავმაგრდთით.

არ დაიჯერებთ და, გადასახლებიდან ისე დავბრუნდით, რუსული სიტყვაც კი არ იცოდა არც ერთმა ჩვენგანმა. რაღაც გააფთრება გვქონდა რუსების მიმართ. მახსოვს, ბებიაჩემს, რაც არ უნდა დამართოდა, ხელი რომ დაეწვა შემთხვევით ღუმელზე აუცილებლად რუსებს მიაწყევლიდა.

გადასახლების წლებმა ისეთი ცეცხლი დაანთო ჩვენში, რომ საუკუნეებიც ვერ ჩააქრობს ამ ხანძარს.

ჩვენთვის ბუნებრივი გრძნობა იყო თავისუფლებისკენ სწრაფვა და ყველაფერ იმის სიძულვილი, რაც ამ თავისუფლებას ელობებოდა.

ერთხელ, ჩემს ბავშვობაში, ერთ ინგუშს ასაფლავებდნენ. ხალხი ტიროდა, მოთქვამდა. ამ დროს ერთი ხნოვანი კაცი გამოვიდა წინ და სიტყვით მიმართა ჭირისუფალთ - ნუ სტირით, ნუ გოდებთ, თქვენი მოყვასი არ არის სატირალი, მან ღირსეულად და კაცურად იცხოვრაო. არასოდეს ყოფილა ქურდი, მოღალატე, დამსმენი, კომუნისტი, არ ლაპარაკობდა რუსულად, ნამდვილი კაცი იყო, მაშ შეწყვიტეთ ტირილი და მისი შესაფერისი პატივი მიაგეთ ამ ადამიანის ნათელ ხსოვნასო.

მოხუცმა მთელი ინგუში ხალხის განწყობა გამოთქვა ამ სიტყვებით. ჩვენ მართლა ასე ვფიქრობდით. ცეცხლი ჩვენში დღემდე ანთია და მე არ მეშინია რუსეთის, სანამ ის გვებრძვის. მე უფრო იმის მეშინია, რამე სხვა გზა არ იპოვონ ჩვენს მოსასპობად. მაგალითად, ეკონომიკური ან სოციალური წახალისება. ამისი ნიშნებიც არის, ახლა ჩეჩნეთის საპირისპიროდ ძალიან "გვეფერებიან" ინგუშებს, პროდუქტს გვიგზავნიან, ხელფასებს დროზე გვირიგებენ, ერთი სიტყვით, გვთაფლავენ. ეს უფრო სახიფათოა. მაგრამ არა მგონია ამ პოლიტიკამ სერიოზული ნაყოფი გამოიღოს, კავკასიაში თავისუფლება სამადლოდ გადმოგდებულ შაქარყინულზე არც იცვლება, არც იყიდება.

> ## მეროპელის აზრი
>
> დილით ვეწვიე გენერალ კრესს. გერმანელთა შტაბი იმჟამად ბინადრობდა მუხრანბატონთა სასახლეში, რუსთაველის პროსპექტზე.
>
> - თავში რამდენიმე აზრი დამიგროვდა - მითხრა გენერალმა - მსურს გულახდილად გაგიზიაროთ. მხედველობაში მაქვს თქვენი ქვეყნის მომავალი. ადრე თუ გვიან ჩვენ, გერმანელები, წავალთ კავკასიიდან. უფრო ადრე, ვიდრე გვიან. თქვენი მმართველი წრე არ ჩქარობს შექმნას თავისი სახელმწიფოსათვის საფუძვლიანი ხაარსებო დაწესებულებანი. მაგალითად, ქართული ჯარის ორგანიზაციის შესახებ მიღებული გეგმები დღემდე განუხორციელებელი რჩება. აგრეთვე კავკასიელ მეზობლებთანაც არა გაქვთ კარგი განწყობილება. საქართველოს მთავრობას არა აქვს კავკასიური პოლიტიკა, რომელიც თქვენი ქვეყნის არსებობის საფუძველია. ჩვენი წასვლის შემდგომ, განმარტოებული, უჯარო საქართველო მტრების რკალში მოექცევა და რომელიმეს მიერ ადვილად წაილეკება.
>
> გენერალ დავით ვაჩნაძის მოგონებებიდან.
>
> *(1918-21 წ.წ.)*

---

# ჩეჩნეთის კვანძი - Made in Russia

### ავანტიურა სკანდალურად ჩაიშალა

ჩეჩნეთში უაღრესად ჩახლართული სიტუაციაა. გარდა იმისა, რომ უპასუხოდაა დარჩენილი რიგი კითხვები: - რატომ გამოვიდა ჩვენი არმია ისე საჩქაროდ რესპუბლიკიდან, რომ იქ დატოვა მთელი ტექნიკა (რაც ყოფილი სსრკ-ს არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკაში არ მომხდარა)? რატომ გრძელდება ნავთობის საექსპორტოდ გატანა ნავთობსადენებით გროზნოდან სტავროპოლში, რითიც ფაქტობრივად იკვებება ჩეჩნეთის მაფია? რატომ ჩამოაშორეს ჩეჩნეთის საქმეს სერგეი შახრაი და მის მაგივრად დანიშნეს სერგეი ფილატოვი, რომელმაც სრულებით ვერაფერი გააკეთა? - გაჩნდა ახალი კითხვების მთელი გროვა.

მაგალითად, რას ნიშნავს ნალჩიკში მძევლების ხშირი გატაცება? რა როლს თამაშობენ ჩვენი სპეცსამსახურები ჩეჩნეთის საკითხში? რატომ არის მოყვანილი უმაღლეს საბრძოლო მზადყოფნაში ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები, კერძოდ, "ვდვ"-ს დივიზია ნოვოსიბირსკში, ვერტმფრენების პოლკი როსტოვში? ზოგიერთი მონაცემებით, თავად პავლე გრაჩოვი აპირებს გადადოს შვებულება და გაემგზავროს ჩრდილოეთ კავკასიაში (თუმცა, უკვე ბრძანდებოდა იქ ივლისის დასაწყისში). მოსკოვში ჩამოსული ჩეჩნები ყვებიან, რომ ჩეჩნეთი გარშემორტყმულია ახალი ჯავშანტექნიკით განმტკიცებული, მძლავრი სამხედრო ჯებირით...

("მოსკოვსკი კომსომოლეც", 4.09.94.)

### რუსეთის ყელში გაჩხერილი ძვალი

...გუშინვე გავეშურეთ რუსეთის სწრაფი რეაგირების ძალების სანახავად. ინგუშეთისა და ოსეთის საზღვარზე სამი პოსტი დაგვხვდა. პირველზე - სამი თუ ოთხი "ბმპ". მეორე პოსტზე - ბეტონის ბლოკები ვნახეთ, ზემოდან რამდენიმე რიგად შემოვლებული მავთულხლართით. ბეტონის სიმაგრიდან რკინისჩაჩქანიანი ჯარისკაცი შემოგვყურებდა ტყვიამფრქვევის ლულასთან ერთად - ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც ამერიკულ "ბოევიკში".

გადაღების უფლება არ მოგვცეს, რათა არ გამჟღავნებულიყო მანქანების გვერდული ნომრები და რომელ ნაწილებს განეკუთვნებიან. მაგრამ სხვადასხვა ყაიდის ამოსაცნობი ნიშნები - მუშტად შეკრული ხელით, თუ მტაცებელი ცხოველებით - ნათელს ხდიდა, რომ ჩეჩნეთთან თავი მოუყარეს ყველაზე გამოცდილ სპეცდანიშნულების ნაწილებს მთელი რუსეთიდან.

დიმიტრი ხოლოდოვი

("მოსკოვსკი კომსომოლეც", 10.09.94.)

### ბოლო კამპანია ჩეჩნეთის წინააღმდეგ ჩაიშალა

დუდაევთან ლაპარაკი მოგვიწევს სიტყვებით და არა ტანკებით.

რაც უფრო ადრე მიხვდებიან ამას კრემლში, მით ნაკლები სისხლი დაიღვრება.

უკანასკნელი დღეების მოვლენები გვიჩვენებს: ყველაფერს, რასაც ჩეჩნეთის შესახებ ვუყურებდით და ვისმენდით მასობრივი ინფორმაციის ოფიციალური საშუალებებით, დეზინფორმაციასაც კი ვერ უწოდებ. ესაა ელემენტარული, მდარე სიცრუე, რომელიც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში გათამაშებულ პოლიტიკურ ინტრიგას ეყრდნობა.

დღეს უკვე სირცხვილია იმის გახსენება, რასაც ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეები ამბობდნენ უკანასკნელი ნახევარი თვის განმავლობაში. შეგვიძლია გულიანად ვიცინოთ სერგეი შახრაის მტკიცებაზე, რომ თითქოს ჯოჰარ დუდაევს მხოლოდ 120 ადამიანი უჭერს მხარს. გასაოცარია, როგორ ახერხებენ ესოდენ მცირერიცხოვანი ჯგუფით ხელისუფლების შენარჩუნებასა და დროდადრო "ოპოზიციონერი" ბოევიკების საკმაოდ სერიოზული (თუკი ჩვენს საინფორმაციო საშუალებებს დავუჯერებთ) დაჯგუფებების მოგერიებას?

უფრო სერიოზული საკითხი კი ისაა, რომ ჩვენი ხელისუფლების სტრუქტურები აღმოჩნდნენ აშკარად კრიმინალური სტრუქტურებისა და გაკოტრებული პოლიტიკოსების გვერდით. არსებითად, ყველა, ვინც ისურვა პრეზიდენტ დუდაევის ძალით გადაყენება, რუსეთმა მოამარაგა ფულითაც, სამხედრო ტექნიკითაც, საბრძოლო საშუალებებითაც და სხვა მრავალი სიკეთით. ეს კი - რუსეთის კონსტიტუციის დარღვევაა.

ავანტიურა სკანდალურად ჩაიშალა. სადაა ახლა "მშვიდობის მაცნე" ხაზბულატოვი, რომელიც ხალხს ხელისუფლების სამხედრო გზით მოპოვებისკენ აქეზებდა. სადაა ოპოზიციის საერთო სახალხო მხარდაჭერა, ე.წ. ჯანსაღი ძალები? ავანტიურისათვის ვიღაცამ უნდა აგოს პასუხი. ამასთან დაკავშირებით ხომ არ დაიწყო კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის ("ფსკ") ხელმძღვანელმა ბ-მა სტეპაშინმა საუბარი დუდაევის ვიღაც ემისრებზე, რომლებიც, თურმე, მოსკოვში მოქმედებენ?

"შეიარაღებული ოპოზიციის მხარდაჭერამ და ჩეჩნეთის საქმეებში რუსეთის ჩარევამ შეიძლება მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში აფეთქება გამოიწვიოს", - განაცხადა პრესკონფერენციაზე ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიადან დაბრუნების შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ანატოლი შაბადმა. იგი თვლის, რომ გასამხედროებული ფორმირებების შექმნას, მათ შეიარაღებასა და მომზადებას, რუსეთის სპეცსამსახურების კავშირს აშკარად კრიმინალურ დაჯგუფებებთან იმ იმედით, რომ ეს ძალები შესძლებენ პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის დამხობას, წარმატების შემთხვევაშიც კი, შედეგად მოჰყვება ვითარების სრული დესტაბილიზაცია და სამოქალაქო ომი. შაბადის აზრით, ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ოპოზიციონერები ხალხის მასობრივი მხარდაჭერით სარგებლობენ, არ შეესაბამება სინამდვილეს.

("მეგაპოლის ექსპრესი", 21.09.94.)

### ჩეჩნეთის კვანძი

... 91-ის მოვლენებმა ჩეჩნეთში, რომელმაც გენერალი დუდაევი ხელისუფლების სათავეში მოიყვანა, მოსკოვში გაღიზიანება გამოიწვია. ამ დროისათვის ჩეჩნური კოლონია დედაქალაქში აქტიურად აწარმოებდა თავის პოლიტიკას, ფარულ ზეგავლენას ახდენდა სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე. ...დუდაევის გამოჩენა ეროვნული ლიდერის როლში, მოსკოვში ბევრი გავლენიანი ჩეჩენისათვის მოულოდნელობად იქცა. აღმოჩნდა, რომ ზოგადად რუსეთის პოლიტიკით დაკავებულებს კონტროლიდან გაექცათ სიტუაცია გროზნოში.

დუდაევი ხელისუფლებაში მოვიდა აგვისტოს რევოლუციით გამოწვეული, ბუნებრივი სახალხო ენთუზიაზმის ტალღაზე. მას არ ჰქონია ტრადიციული ელიტის მხარდაჭერა, არ იყო დაკავშირებული კრიმინალურ ჯგუფებთან. გენერალმა სხვა გზა გაიარა, სხვა კავშირები ჰქონდა და სხვა ავტორიტეტები ჰყავდა.

... "ფსკ" საჭიროდ მიიჩნევს დუდაევის ხელისუფლების გადაყენებას და იწყებს ოპოზიციის ორგანიზებას. ოპოზიციის მხარდაჭერის ფართოდ ცნობილი ფაქტები არ მოგვეპოვება, მაგრამ სპეცსამსახურების მეთოდები ადვილად ამოსაცნობია.

ალბერტ ჩიხოვი

("მეგაპოლის ექსპრესი", 28.09.94.)

### ჩეჩნეთი: არც მშვიდობა, არც ომი

თუკი რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დავუჯერებთ, თერგსზედა რაიონის ყველა მაცხოვრებელი მხარს უჭერს ოპოზიციურ დროებით საბჭოს. მაგრამ თერგსზედა ვანდეას აქვს თავისი საკუთარი ვანდეა - სოფელი ბრატსკოე, რომელიც განლაგებულია ოპოზიციის ცენტრად ქცეულ ზნამენსკოესა და მოზდოკს შორის. აქაურთა უმრავლესობა მხარს უჭერს პრეზიდენტ დუდაევს, დანარჩენები კი პოლიტიკის მიმართ გულგრილნი არიან და ამბობენ, - "მოგვეცით მშვიდად ცხოვრების საშუალება". ბრატსკოეში არის თავდაცვის რაზმი, რომელიც არავის ექვემდებარება და უკვე შეეცადა კიდეც შეეჩერებინა უმარ ავტურხანოვის კოლონები, როდესაც ისინი სოფლის გავლით მიდიოდნენ. თვით ზნამენსკოეშიც კი არის მთელი ქუჩები და უბნები, რომელთა მცხოვრებლებიც დუდაევს ემხრობიან.

დიმიტრი ბალბულოვი

("მოსკოვსკიე ნოვოსტი", 18-25.09.94.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა მშვიდობისაკენ

ამ რამოდენიმე ხნის წინ, სატელევიზიო გადაცემაში"პირისპირ", საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთმა სპიკერთაგანმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ახარა ქართველ ტელემაყურებელს, რომ როგორც იქნა რუსეთი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კავკასიაში მისი სტრატეგიული მოკავშირე არის საქართველო და, რომ ამ დასკვნის შედეგად უნდა ველოდოთ რუსეთის მხრიდან დათმობათა მთელ კასკადს და საერთოდ საამურ ცხოვრებას.

მიუხედავად ვ.რჩეულიშვილის უაპელაციო განცხადებისა, ნამდვილად ღირს იმის გარკვევა, თუ რას ნიშნავს რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეობა, ვინ არის რუსეთის ნამდვილი მოკავშირე კავკასიაში და, საერთოდ, შედის კი საქართველოს ეროვნულ ინტერესებში ამგვარი მოკავშირეობა?

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ რუსეთის უერთგულესი მოკავშირე და ფაქტიურად მისი პოლიტიკის გამტარებელი კავკასიაში არის სომხეთი. ეს ფაქტი არასოდეს ყოფილა დაფარული. პირიქით, ამას ყოველთვის ხაზს უსვამდნენ რუსებიც და სომხებიც.

კავკასიაში სომეხთა ფაქტორის მნიშვნელობა მშვენივრად ესმოდა რუსის გენერალ პასკევიჩსაც, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში ხელმძღვანელობდა თურქეთიდან ლტოლვილ სომეხთა დასახლებას საქართველოს სამხრეთ რეგიონებში. ყველას კარგად გვახსოვს, რომ სტაროვოიტოვა, რომელიც შემდგომში გახდა ბორის ელცინის მრჩეველი ეროვნულ საკითხებში და თავგამოდებით იცავდა სომხეთის ინტერესებს აზერბაიჯანთან კონფლიქტში, სწორედ სომხეთის ერთ-ერთი საარჩევნო უბნიდან იქნა არჩეული ჯერ კიდევ სსრკ-ს უზენაეს საბჭოში. გარდა რუსეთის ოფიციალური სახელმწიფო მოღვაწეებისა, არც დისიდენტური წრეები იყვნენ გულგრილნი სომხეთის მიმართ. ლამის რუსეთი სინდისად და სულიერ მამად აღიარებულ ანდრია სახაროვის პროექტში სსრკ-ს ხელახალი ტერიტორიული მოწყობის შესახებ, საქართველოს ორ გუბერნიად გაყოფის პარალელურად ნავარაუდევია სომხეთის ტერიტორიის გამსხვილება.

ყველასათვის ცხადია, რომ ზოგადად მოკავშირეობა არ არის მხოლოდ იურიდიული აქტი და იგი არ მიიღწევა ამა თუ იმ დოკუმენტზე მხოლოდ ხელის მოწერით. პოლიტიკური მოკავშირეობა მოითხოვს ერთგულების გარკვეულ გარანტიებს. ვნახოთ, თუ რის ხარჯზე, ანუ რის ფასად დაიმსახურა სომხეთმა ესოდენი პატივი და ყურადღება რუსეთის მხრიდან.

კავკასიის რუკაზე თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ თუ არ ჩავთვლით საქართველოს, სომხეთი გარშემორტყმულია მისდამი უცხო და არაკეთილმოსურნე, ხოლო თურქეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში აშკარად მტრულადგანწყობილი ქვეყნებით. ამგვარი კონფლიქტური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ლომის წილი სწორედ რუსეთს მიუძღვის. რუსეთის წაქეზებით დაიწყეს სომხებმა შეიარაღებული აჯანყება თურქების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ბედის ანაბარა იქნენ მიტოვებულნი გამხეცებული თურქი ასკერების წინაშე, რასაც [illegible] კიდეც სომეხთა გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა. [illegible]ურად რუსეთის მიერ იქნა პროვოცირებული [illegible] სომხეთ-აზერბაიჯანის ბოლოდროინდელი [illegible]ფლიქტი მთიანი ყარაბაღის გარშემო. სომხეთის[illegible] შეიკრა ერთგვარი მანკიერი წრე: ერთის მხრივ მეზობლებთან გამწვავებული ურთიერთობების გამო მას სხვა გზა არ რჩება, გარდა რუსეთთან მჭიდრო კავშირისა და თავშესაფარის ძიებისა, ხოლო მეორეს მხრივ იგი იძულებულია რუსეთის წაქეზებით იომოს და გაუთავებლად კონფლიქტში იყოს ყველა თავის მეზობელთან. ფაქტიურად ეს უკვე მოკავშირეობაც აღარ არის. ამას სხვა სახელი ჰქვია. თვით საქართველოსთანაც კი, რომელიც არის ფაქტიურად ერთადერთი თავისუფალი გასასვლელი სომხეთისათვის შავ ზღვაზე და აქედან გამომდინარე, მაკავშირებელი მთელს გარე სამყაროსთან, სომხეთი არ ერიდება ურთიერთობის გამწვავებას. ის ტერიტორიული პრეტენზიები ჯავახეთზე, რომელიც დღეს მხოლოდ აქა-იქ და გაუბედავად გაისმის, არის ნაპერწკალი, რომლისაგანაც ახალი ხანძარი შეიძლება გაჩაღდეს. ამისათვის კი, როგორც ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, საკმარისია მხოლოდ ერთი ნიშანი, ერთი ბრძანება რუსეთის მხრიდან.

ზუსტად იგივე სურათია ჩრდილოეთ კავკასიაშიც. აქ რუსეთის სტრატეგიული მოკავშირისა და მისი პოლიტიკის გამტარებლის როლში გამოდის ოსეთი. ოსების მტრობა თავის მეზობლებთან არის გარანტია რუსეთისადმი ერთგულებისა და ერთგვარი ხარკი სტრატეგიული მოკავშირეობისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უადგილოდაც კი ჩანს კითხვა: აწყობს თუ არა საქართველოს იყოს რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე? რა თქმა უნდა, არა. ხოლო თუ ჩვენ მაინც გაბმულები აღმოვჩნდით ამ ხაფანგში, ამას გარდუვალად მოჰყვება დაძაბულობისა და კონფლიქტების ესკალაცია საქართველოში. თუმცა, ეს უკვე აღარაა შორეული პერსპექტივა. ვახტანგ რჩეულიშვილის სიტყვები რომ მხოლოდ თეორია არაა და რომ საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები უკვეგადადგა ამ უფსკრულისაკენ, ნათლად ჩანს იმ აშკარად ხელოვნურად გამოწვეულ ომში აფხაზებთან, აღვირახსნილ ანტიჩეჩნურ, ანტიკავკასიური ისტერიაში და საერთოდ კავკასიურ პრობლემებში რელიგიის ფაქტორის ხელოვნურად წინ წამოწევასა და გამძაფრებაში.

მსგავსი პოლიტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ მრწამსსა და ინტერესებს. ჩვენს მსოფლმხედველობას გამოხატავს რუსთაველის სიტყვები: "ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია". მხოლოდ საკუთარი თავის მტერს, საქართველოს მტერს შეიძლება სურდეს მსგავსი პოლიტიკის გატარება მისგან გამომდინარე ყველა შედეგებით.

კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი ურთულესი რეგიონია. ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული სიჭრელის, უფრო მართებულად კი მრავალფეროვნების გამო, აქ დაუშვებელია, ფაქტობრივად შეუძლებელიც, მთელი რეგიონისათვის რომელიმე ერთი-პრორუსული, პროთურქული, პროირანული ან თუნდაც პროამერიკული პოლიტიკის გატარება. ეს აუცილებლად დაკავშირებული იქნება კონფლიქტებთან და სისხლის ღვრასთან. ამგვარი მოცემულობა თანაბარია ქართველისთვის და ჩეჩენისთვის, ქრისტიანისთვისა და მაჰმადიანისთვის. მხოლოდ კავკასიური ერთიანობა, საერთოკავკასიური პოლიტიკის შემუშავება უნდა იყოს გზა მშვიდობისაკენ, სიკეთისაკენ და სიყვარულისაკენ.

**თ. რეხვიაშვილი**

# ალექსანდრე ბატონიშვილი - კავკასიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რაინდი.

ერეკლე II-ის ვაჟი -ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844) საქართველოს და სრულიად კავკასიის ახალი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ცარისტული, შემდეგ კი ბოლშევიკურ-კომუნისტური ისტორიოგრაფია ათწლეულების მანძილზე საგულდაგულოდ ჩქმალავდა მის პიროვნებას. ეს სავსებით გასაგებია, რამეთუ ალექსანდრე ბატონიშვილი გახლდათ საქართველოს და კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი. თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე მისი პიროვნება შარავანდედით იყო მოსილი. ხალხში ლეგენდასავით დადიოდა ამბები მის საგმირო საქმეთა შესახებ. მაგრამ გადიოდა დრო და ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი დავიწყებას ეძლეოდა.

დაიბადა ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი 1770 წელს თბილისში.

ერეკლე II-ის ინიციატივით, აღიზარდა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე იმხანად მყოფი კათოლიკე მისიონერთა ხელმძღვანელობით, მშობლიურის გარდა, იგი ფლობდა თურქულ, სპარსულ, იტალიურ ენებს.



დაახლოებით 1789 წლიდან ალექსანდრე უშუალოდ მონაწილეობდა სამეფოს გამგებლობაში, განაგებდა ქვემო ქართლს, როგორც საუფლისწულო მამულს.

25 წლის ალექსანდრე აქტიურად მონაწილეობდა კრწანისის ომში, ერთ-ერთ მოწინავე რაზმს მეთაურობდა. ამ საბედისწერო ომის შემდეგ კი მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა იავარქმნილი თბილისის აღდგენა. იგი იყო მამამისის მიერ ჩატარებული არა ერთი სხვა ბრძოლის მონაწილე. ამდენად, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, მიღებული ჰქონდა შესანიშნავი სამხედრო წრთობა. ამასთან, ბატონიშვილთაგან გამოირჩეოდა თავისი სტრატეგიული ნიჭით, შესაშური საერთო განათლებით.

ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობაში ყველაზე მთავარი ის გახლდათ, რომ იგი აშკარად უპირისპირდებოდა როგორც მამამისს, ისე თავის უფროს ძმას,-ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ეს, რადგან მათი პრორუსული პოლიტიკა დამღუპველად და სამშობლოსათვის ახალ უბედურებათა სათავედ მიაჩნდა. მისი ასეთი სულისკვეთებით აღზრდაში დიდია ერეკლე II-ის, ბოლოს კი იმერთა მეფის სოლომონ II-ის ანტირუსული პროგრესულ მოღვაწეთა დასის ლიდერის სოლომონ ლიონიძის დამსახურება. ანტირუსული განწყობა განსაკუთრებით გამძაფრდა კრწანისის ომში დამარცხების და რუსთა მიერ ტრაქტატის უმთავრესი დებულებების უხეშად ხელყოფის შემდეგ. მისთვის სავსებით ნათელი გახდა, რომ ამ მცდარ, დამღუპველ პოლიტიკას რუსეთთან დაახლოვებისა, მისი სამშობლო დაღუპვისაკენ მიჰყავდა.

1798 წლის შემდეგ, ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდგომ, ალექსანდრე ბატონიშვილმა უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა გიორგი XII-ს, რომელიც ყოვლად უუნარო და უსუსური პოლიტიკოსი აღმოჩნდა. ამ უკანასკნელის მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ სწორედ მას და მის მემკვიდრეებს დარჩენოდათ ტახტი. სამაგიეროდ, რუსეთის მიმართ მიდიოდა ყოვლად გაუმართლებელ დათმობებზე, რაზეც თვალნათლივ მიუთითებს მისი ინიციატივა უკვე არსებული ტრაქტატის ბევრად უფრო კომპრომისული ვარიანტის ხელმოწერისა (1799 წ.), რაც, საბედნიეროდ, არ შედგა. თუმცა, რუსეთის ხელისუფლებამ, სამართლებრივი ნორმების სრული უგულვებელყოფით, 1800 წელს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში უტიფარი ინკორპორაციის ერთ-ერთ მთავარ გასამართლებელ საბუთად ეს ხელმოწერილი დოკუმენტი გამოაცხადა.

1800 წლიდან ალექსანდრე ბატონიშვილი სათავეში ჩაუდგა ქართლ-კახეთის მოსახლეობის ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. მალე ეს მოძრაობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზეც გავრცელდა. ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ალექსანდრე ქართლ-კახეთის ყველაზე პოპულარული მოღვაწე იყო, რომელიც ერის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა. მისი პოპულარობის ზრდას დიდად უწყობდა ხელს მისდამი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა და ამიერკავკასიის სახანოთა კეთილგანწყობა. ერეკლესადმი კი პირიქით, კავკასიელთა დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო უარყოფითი ხდებოდა. ამასთან, ალექსანდრე მოხერხებულად იყენებდა ბატონიშვილების - იულონის, მირიანისა და ფარნაოზის უკმაყოფილებას, როგორც ერეკლეს, ისე გიორგის საქმიანობით გამოწვეულს.

1800 წლის ივნისში ალექსანდრემ დასტოვა თავისი რეზიდენცია შულავერი და ოსმალეთის საზღვრისაკენ, სამხრეთ საქართველოში გაემართა. იგი კავშირს ამყარებს ჯერ სამცხე-საათაბაგოს რუსეთის წინააღმდეგ განწყობილ გამგებლებთან და ყარსის ფაშასთან, შემდეგ კი ირანის შაჰის კართან. ალექსანდრე ხედავდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ მარტოოდენ საკუთარი ძალებით ვერას გახდებოდა და გადაწყვიტა ამ მიზნით ირანის გამოყენება.

ერთი თვის შემდეგ სპარსეთის ჯარი აბას მირზას ხელმძღვანელობით რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად ერევნის ციხესთან დაბანაკდა. მათ შეუერთდა შუშის ხანი იბრაიმი. მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ ირანს იმხანად რუსეთთან შებრძოლების ძალა არ ჰქონდა. ამის გამო, შაჰის კარმა დიპლომატიური მოლაპარაკებები დაიწყო როგორც გიორგი XII-სთან, ისე რუსეთის საიმპერატორო კართან, რადგან ამ გზით ფიქრობდა ქართლ-კახეთის რუსეთისგან გამოგლეჯას.

"ჩვენი სამძღვრის მთავარის წიგნი მოგვივიდა, რომ ომარ-ხან, ხაპშუთა და ჯონგათაი, მაჰმად-ხან და ორი ყადი, ესენი დაღესტნის ჯარებით საქართველოზედ (ქართლ-კახეთზე - ლ.უ.) მომსვლელნი არიან; რომ ყიზილბაშებს, იბრაგიმ-ხანს, ჩვენს ძმას ალექსანდრეს, ამათ ერთი პირი აქვთ - წერდა გიორგი რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს, გენერალ კნორინგს (იხ. ალ. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველო, ტ. I, პარიზი, 1951, გვ. 171). გიორგი ამ წერილში 6.000 კაცის დამატებით გაგზავნას სთხოვს რუს გენერალს.

ალექსანდრეს ავტორიტეტის დასტური გახლავთ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი. საომარი ოპერაციების დაწყების წინ, ყარაღაჯთან დაბანაკებული ლაშქრის სარდალს, ომარ-ხანს გენერალმა ლაზარევმა წერილი გაუგზავნა შეკითხვით, თუ რატომ დაუპირისპირდა იგი რუსეთს. ომარ-ხანმა კი ასეთი პასუხი გასცა გენერალს:

"...ჩემი საყვარელი ძმა, ალექსანდრე ბატონიშვილი, შვილი დიდი მეფის, მამიჩემის, ირაკლისა, მოვიდა სტუმრად ჩემთან. მივიღე რა ის სტუმართმოყვარეობის მოვალეობით, საჭიროდ ვცან მისი დახმარება. მე არ მქონდა სურვილი, მქონოდა თქვენთან კავშირი, გარდა მეგობრული ურთიერთობისა, რაც ჩემთვის შესაძლებელი იყო, მაგრამ რა ვქნა, როდესაც ღმერთმა საქმე ასე მოაწყო. თუ ის (ე.ი. ალექსანდრე - ლ. უ.) დასთანხმდება შერიგებაზედ, მე მასთან ერთად კმაყოფილი ვიქნები იმ მიზეზით, რომ ჩემი სტუმარია და მთხოვა დახმარება. და, თუ ის კმაყოფილი არ იქნება, ასევე მეც არ ვიქნები". წერილი გაგზავნილ იქნა 1800 წლის ნოემბერში ( იხ. ალ. მანველიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 172)

ალექსანდრემ და ომარ-ხანმა დახმარება სთხოვეს ირანის შაჰს, მაგრამ იგი იმხანად უძლური აღმოჩნდა შეესრულებინა ეს თხოვნა. საბოლოოდ, ალექსანდრე და მისი ძმადნაფიცი 15.000 დაღესტნელით და ბატონიშვილის პირადი რაზმით შეებრძოლენ რუსეთის ჯარს. ბრძოლა მოხდა 1800 წლის 7 ნოემბერს. გაერთიანებულ ლაშქარს ალექსანდრე სარდლობდა. ერთი ნაწილი მან იმერეთისაკენ გააგზავნა, მეორეს კი თავად წარუძღვა თბილისის მიმართულებით. რაც შეეხება იმერეთში გაგზავნილ რაზმს, იგი სოლომონ II-ის ლაშქარს უნდა შეერთებოდა და ასევე დაძრულიყო თბილისისკენ. სამწუხაროდ, რუსთა მრავალრიცხოვნობამ თავისი გაიტანა. დაღესტნის ხანი თავისთავად დაბრუნდა, ალექსანდრემ კი კვლავ ირანს შეაფარა თავი.

იმავდროულად, ნოემბრის დამლევს მძიმედ დასნეულდა გიორგი XII. იმ დროისთვის ლაზარევს და კნორინგს უკვე ჰქონდათ მიღებული უზენაესი საიდუმლო რესკრიპტი მაუწყებელი იმისა,რომ ქართლ-კახეთის სამეფო გუბერნიის სახით უნდა შეერთებოდა რუსეთს.

1801 წლის თებერვალის დამლევიდან ბატონიშვილებმა კვლავ დაიწყეს ბრძოლისთვის მზადება.

1802-1803 წლებში ალექსანდრე დახმარებას სთხოვს ჩრდილოეთ კავკასიის და ამიერკავკასიის გამგებლებს. 1804 წლიდან მას მხარში ამოუდგა თეიმურაზ ბატონიშვილი.

1812 წლის ივლისში აჯანყებისთვის მზდებას ოწყებს თუშ-ფშავ-ხევსურეთი. ამბოხების მოთავეებმა სწორედ ირანში მყოფ ალექსანდრეს სთხოვეს სათავეში ჩასდგომოდა მათ. 11 ივლისს მათ თანხმობის წერილი მიიღეს ბატონიშვილისგან. პარალელურად ალექსანდრემ წერილები აფრინა ქართლ-კახეთის თავადებთან და ახალციხეში მყოფ სოლომონ მეორესთან მოწოდებით, რომ ერთიანი ძალებით შებმოდნენ მტერს.

ამავე წლის აგვისტოში კავკასიას მოადგა ირანის 20 000 -იანი ჯარი, რომლის ერთ-ერთი სარდალი თავად ალექსანდრე იყო. სექტემბრის დამდეგს მთელს საქართველოში გავრცელდა ალექსანდრეს მიერ შედგენილი მოწოდების ტექსტი. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა უდიდესი სიხარულით შეეგება ბატონიშვილს. მასვე შეუერთდნენ ლეკები და ვაინახები (ჩეჩნები და ინგუშები). დაიწყო კახეთის ცნობილი ანტიიმპერიული აჯანყება, რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ სწორედ ირანიდან დაბრუნებული ალექსანდრე ბაგრატიონი. პარტიზანული რაზმები შიშის ზარს სცემდნენ რუსთა რაზმებს, რომლებსაც ხშირად გამყიდველი ქართველები ედგნენ სათავეში. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ მაიორი ორბელიანი, რომლის რაზმი განადგურებულ იქნა ამბოხებულთა მიერ. სამწუხაროდ, ეს მცდელობაც წარუმატებლად დასრულდა, თუმცა, ამ აჯანყებამ რუსეთს კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ საქართველოს და საერთოდ, - კავკასიის სახით მაგარ, "კერკეტ კაკალთან" ჰქონდა საქმე, რომ ქართველნი ასე იოლად არ დასთმობდნენ დამოუკიდებლობას. დამარცხების შემდეგ, 1818 წლამდე, ალექსანდრე ბატონიშვილი დაღესტანში იმყოფებოდა.

სწორედ ამ დროს, 1816 წლიდან ანტირუსული გამოსვლები დაიწყო ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორის. ჩრდილოკავკასიელთა გააქტიურებას დიდად შეუწყო ხელი კავკასიის მთავარმართებლად გენერალ ერმოლოვის დანიშვნამ. ერმოლოვი გამოირჩეოდა კავკასიელ ხალხთა განსაკუთრებული მოძულეობით. ალექსანდრე ბატონიშვილი ვაინახთა ამ ბრძოლის აქტიური გულშემატკივარი და მონაწილე გახდა. 1819 წელს იგი კვლავ ირანში გადავიდა და ხელახლა შეუდგა ახალი ბრძოლისათვის მზადებას. ამის შემდეგ იგი იყო რუსეთ - ირანის 1826-1828 წლების ომის აქტიური მონაწილე და ირანის ჯარის ერთ-ერთი სარდალი.

1828 წელს დაღესტანში დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა ბრძოლა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. მოძრაობას სათავეში ჩაუდგა იმამ შამილი - კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული გმირი. 30-იანი წლების დამდეგს დაღესტნელებს შეუერთდნენ ვაინახები თაშოვ-ხაჯის მეთაურობით. მოძრაობის დაწყებისთანავე შამილს და სხვა ლიდერებს დაუკავშირდა ალექსანდრე ბაგრატიონი. სხვათა შორის, არის ვერსია, რომ ალექსანდრე იყო იმამის მამა, თუმც, ამ ვარაუდის პირდაპირი დადასტურება ჯერჯერობით არ მოიპოვება.

1831 წელს პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა ფარულად დაიწყო მზადება ახალი ანტირუსული ამბოხებისათვის. დიმიტრი, ფარნაოზ, თამარ ბატონიშვილების, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების, სოლომონ დოდაშვილის, ელიზბარ ერისთავის, გიორგი ერისთავის, ფილადელფოს კიკნაძის, დიმიტრი ყიფიანის და სხვა მამულიშვილთა თაოსნობით, ამ მიზნის ხორცშესხმისთვის შეიქმნა ფარული საზოგადოება. იმთავითვე გადაწყდა აჯანყების ხელმძღვანელად ირანიდან ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევა. განზრახული იყო მისი მეფედ კურთხევა და კონსტიტუციურ-მონარქიული წყობის დაფუძნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც 1812 წლის კახეთის ამბოხების წინ, ისე 1832 წელს ალექსანდრეს და სხვა ბატონიშვილებს აქტიური კონტაქტები ჰქონდათ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებთან. ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულებას დიდად თანაუგრძნობდა გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, აკადემიკოსი მარი ფელისიტე ბროსე.

ნაშანდობლივია ის გარემოება, რომ ზემოხსენებული ფარული საზოგადოების მუშაობაში მეტ-ნაკლებად ჩაერთო ქართველი თავად-აზნაურობის უდიდესი ნაწილი, გარდა ქვეყნის გამყიდველი კოლაბორაციონისტებისა.

სამწუხაროდ, პროვოკატორებმა, პირველყოვლისა, იასე ფალავანდიშვილმა, გასცეს შეთქმულნი, რომლებსაც სასტიკად გაუსწორდა რუსეთის ხელისუფლება.

შეთქმულების დამარცხება უდიდესი ტრავმა იყო იმხანად უკვე ხანდაზმული ბატონიშვილისთვის. სიცოცხლის ბოლო წლები ალექსანდრე ბაგრატიონმა თეირანში გაატარა, სადაც ხელმოკლეობაში მყოფი აღესრულა 1844 წელს, 74 წლის ასაკში. განისვენებს სახელოვანი მამულიშვილი თეირანის სომხური ეკლესიის ეზოში.

ასეთი გახლდათ საქართველოს ეროვნული გმირი, თავისუფლებისთვის მებრძოლი რაინდი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომლის თავგანწირული მოღვაწეობა სწორუპოვარი მაგალითია მშობელი ერისადმი თავდადებული სამსახურისა.

**ლევან ურუშაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## We, the Refugees from Abkhazia

We are the Georgian refugees from Abkhazia It has been two years since we estranqed from our homes live in Tsikhisdziri holiday hotel in Ajara.

Dire circumstances compelled us to write this letter Actually we're dying of hunger. Bread and water is all we can affored, considering that the bread we get can't be fed even to the animals. For the last two years the so called "Humanitarian Aid" provided us with: 3 kg of flour , 1 kg of milk powder, 2 lit. of oil, 2 kg of sugar. 1 kg of beans, 300 gr.of macaroni. Besides the management of the holiday hotel closed down the dining rooms which used to be some kind of comfort to us.

We haven't received any aid for the small children, the old and the invalids of war in Abkhazia. We aren't provided with medical care.

Some time ago, several people contacted hepatitis, but it became impossible to hospitalize them.

As no one needs our coupons we neither can turn to the doctor nor buy medicines. If a driver guesses we are refugees,he would not stop the bus, as we have no roubles. It's winter already and we do not even have winter clothes. For the absence of clothes and school necessities, children can't attend classes. For winter we were given one warm blanket per family.

These facts might sound unbelievable and exagerated but you can come and see for your own the inhuman conditions we're living in.

For how long we're supposed to eudure such untold suffering and humiliation?

We made several appeals to Eduard Shevardnadze, to the head of the so-called "Salvation Army" organization in Georgia Captain Ronald Leigh and many others, all in vain. All of them seem to have their own plans regarding Georgia and we do not stir up their interest. Although they declare that everything must and is being done for the refuqees. It's clear that somebody is getting rich on our misfortunes while we and our children are dying of hunger.

**Z. Zhorzholiani**
**Z. Kveitaia**
**N. Kapianidze**
**M. Kharaishvili**
**V. Stoianova**
**Sh. Lobzhanidze**
**B. Gugeshashvili**
**N. Managadze**
**L. Dzomidava**
**L. Zhorzholiani**
**S. Khurtsilava**
**R. Metreveli**
**M. Pirtskhalaishvili**
**I. Tshikviladze**
**Metreveli Lili**
**Shubitidze Mitusha**
**Rekhviashvili Meri**
**Managadze**
**Patsatsia Nino**
**Rostobaia Vera**
**Todua Larisa**
**Kvitatiani Tengiz**

## The Georgians are sold as slaves in Abkhazia

Trade of the captives and slaves became common practice in Abkhazian region. With the help of mafiosi structures on both sides of Enguri river, Georgians lured to Sabediano are captured and sold for - 500 000 - 1.000.000 roubles for each person. Horrifying event occured this September in the village of Baghmarani, Gulripshi region, in the family of Ksenia Berulava, 80 year old pensioner teacher. Her sister Nadu, brobher Kapiton, and sister in law Shushu were to be ransomed by their relatives from Tbilisi, for half a million roubles for each person.

For the inner disagreements which arose among the slave-traders, the captives were taken to their own yard at 2. a.m. and shot. Afterwards they took the bodies to the house and burnt it down.

After Learning of their fate the Red Cross notified the relatives in Tbilisi: "They're dead and burried in their estate".

On October 15, Sharo Aslanikashvili, sold twice as a slave managed to escape from the village of Lindava, Sokhumi region. His "owners" made him labour in Gudauta and Sokhumi region.

## Political Prisoner Leri Donadze

Leri G.Donadze was born in Tbilisi in 1941. He's a graduate of Tbilisi Politechnical Institute with the profession of a mining engineer. He worked in the Department of Geology, at construction projects and Ministry of Industry. He was arrested on September 11,1992, in Tbilisi, on a charge of participation in the so-called "Kvareli Forest Case", having the aim to overthrow the government, according to articles 65,67,78 and 79 of the Criminal Law. He was accused of banditism, terrorism, formation of armed groups and subversive activities.

On November 10, 1993, the "Kvareli Case" trial was over and Leri Donadze was sentenced to 13 years in the prison of strict regime. Together with the other accused he was sent to Ksani Colonial Prison.

In January, 1994, after Shevardnadze's notorious radio statement, in which he defined the sentence as quite mild, an escape was staged in Ksani Colonial Prison. Despite the fact that none of the "Kvareli Case" participants attempted to escape, they were once again tried by the Mtskheta Region Court and sentenced to three years of strict regime imprisonment. At present, Leri Donadze serves time in Ortachala 137/11 Strict Regime Prison for two falsified cases.

## That is How my "confession" was cooked up

**To the member of the Georgian Supreme Court Collegium, Mr. I. Tkeshelashvili**

**From the polit-prisoner Leri G.Donadze**

**Statement**

I'd like to draw your attention to the fact that I have been kept prisoner from September 11, 1992. I was arrested in the street and taken to Tbilisi Preventive-Detention Cell, without knowing the reason for my detention.

After being brutally beaten and threatened as well, I was taken to Tbilisi Police Chief David Zeikidze. Boris Ivanov and several other police officers were also present. After they were through with threats and insults they ordered me to be taken to my flat and to make sure that all my family members, including the children, were present. They intended to plant hand grenades, ammunition and fire arms there.

Having undergone all the tortures, I knew at once that Ivanov's orders would have been carried out.

After that they fabricated charges against me. At the same time they warned me that in case I refused to give evidence, I would have been put under the same "press'. (The "press" includes beating of innocent people with rubber or wooden truncheons and hilts). I was beaten mainly in the stomach, chest and feet soles. They also threatened to force me sit on a bottle or jump out of the 5 th or 7 th floor of the Police Department building.

Inspector Jinjolava was conducting the investigation, while the group inspector Anzor Baluashvili stood in the doorway, offering Jinjolava his assistance and replying from time to time: "let's put him under the "press", if necessary." Such were the circumstances in which my "confession" was made.

Having been convinced in the unobjectivity of the investigation and my own powerlessness, I signed everything they put in front of me in order to survive somehow (I knew that one of our group, a teacher. Vakhtang Goksadze, was tortured to death in Preventive Detention Cell), and appear at the court, where I would have made the truth public. I appeal to you to make this statement known to everyone who is not indifferent to a human fate and Justice.

*Leri Donadze*
*13.05.93.*

## "Kvareli Case" is brought to Court Again

A group of persons already convited in "Kvareli Case" are being tried for the second time.

Court sessions on the "Case Zviad Gamsakhurdia and his supporters" are conliuing. The majority of the accused are not present at court; nor are the lawyers.

Examination of the victims and witnesses is in process now, though the violation of Court procedure is evident.

The victinis examined, stated that they learnt the names of the accused from the T.V programne, on September 8, 1992.

Simultaneoushy examination of the accused in the so-called "Kvareli Case" is going on.

This time they appear in court as witnesses, which is an unprecedented fact in the Georgian jurisdiction.

The society is well aware that thee so-called "Kvareli Case" is connected with "the Case of Zviad Gamsakhurdia and his supporters. "and that it was separated from the main case by the procuratoes office. It would have made the conviction of "Kvareli group" much easier and become a strengthening factor in the future "Chikovani Street Explosion Case".

Thase fabricated cases were deftly put to use to incriminate Zviad Gainsakhurdia and his supporters with terrorishc activities throughout Georgia.

Court sentence is in fovce uhich mcans that the accused ave already found guilty. According to the law no one shall be considered guilty unti the court senfence is pronounced. Thus "Kvareli Case" verdict can not be considered correct.

Let's get back to the trial, at which a group of persons sentenced in "Kvareli Case" act as witnesses. Leri Donadze refused to give evidence: - against whom I'm witnessing? I want to see these people. Let me see Domukhovski, Gelbakhiani, Dokvadze and others" (We'd like to remind you, that by the judje's decision 12 of the 19 accused are driven out of the court - room).

The witness, Gela Gachechiladze declared that the above-mentioned trial, just as "Kvareli Case", is being conducted by Georgia's puppet regime, supported by Russia, and he recognizes neither the trial nor the junta regime. "Time will come and you will also be tried."

The judge Mirza Dolidze, imediately ordered Gela Gachechiladze out of the court-room.

The witness Bidzina Goderdzishvili also refused to act as a witness, saying that neither he recognized the trial.

Evidence given by the "Kvareli Case" convict and witness, Levan Darakhvelidze was horrifying. He described all the sadistic, inhuman methods applied against him in order to extract evidence during the investigation. "They made me confess I was one of those, who attempted to explode Jaba Ioseliani. My tortures continued whole month. I could not stand this any more and cut my stomach with a razor.

At the court-session of November 14, the Kvareli Region policeman was examinated. He stated that Vakhtang Goksadze, tortured afterwards to death, was brought to police station, while he was on duty.

During the examination Lawyer Mosesiani tried to put several questions in order to clarify the fact. The Lawyer's questions angered the judge Mirza Dolidze. "Stop all this song and dance about the fact. Goksadze is dead and that is all. Nobody's at fault."

We'd like to end our review with the fact that the lawyer Yuza Jghamadze, dismissed earlier from the Lawyers' Collegium, sued the collegium for this illegal action.

Thus we'll become the witnesses of one more interesting trial.

**Nino Chechelashvili**


**განცხადება**

ჩვენი გაზეთის გავრცელების მსურველებს, განსაკუთრებით რაიონებიდან, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ შემდეგ ნომერზე:

93-24-69



მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე

EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227

Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8,